საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

გაზეთი დაარსებულია 1918 წელს

პარასკევი, 9 თებერვალი. 2024 წ. №16 (9696) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ჩვენს პოლიტიკურ გუნდს უამრავი რამ აქვს გაკეთებული...

ირაკლი კობახიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრია!

გუშინ საქართველოს პარლამენტში გვიანობამდე მიმდინარეობდა საგანგებო ჩქარული სხდომა.

საპარლამენტო უმრავლესობა, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ირაკლი კობახიძეს და ნდობის გამოცხადებისათვის წარდგენილ მთავრობის შემადგენლობას შეხვდა.

ჩქარული სხდომა მწვავე პოლიტიკური კამათის ფონზე მიმდინარეობდა.

საპარლამენტო უმრავლესობამ პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს და მის გუნდს სრული ნდობა გამოუცხადა

იხ. 2 გვ.

საქართველოს სახალხო კომპოზიტორი მოუკვდა!

11

87 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ხალხის უსაყვარლესი კომპოზიტორი, დიდი შემოქმედი და მამულიშვილი ვაჟა აზარაშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

ქვეყანა ისევ ავი ძალლებით აივსო!

4

ბუნება მბრძანებელია!

ხულოში ევაკუირებულია 35 ოჯახი

7

„იკეტება“ თუ არა ამერიკა მიგრანტებისთვის?!

8

სოზარ სუბარი:

სალომე ზურაბიშვილის პარლამენტში გამოსვლა იყო არა

3

საქართველოს პრეზიდენტის, არამედ უცხო ქვეყნის აგენტის გამოსვლა

კახა კალაძე:

ორმილიარდიანი

9

ბიუჯეტით თბილისი მრავალ სოციალურ პრობლემას მოაგვარებს

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲒᲣᲜᲓᲡ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲚᲔ, ᲠᲘᲗᲘᲪ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲔᲑᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲓᲐᲜ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲛᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲛᲘᲡᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲐᲜᲘᲭᲝᲡ. ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐ. ᲣᲐᲓᲠᲔᲡᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲛᲐᲦᲘᲛᲔᲡ ᲨᲝᲜᲗᲖᲔ ᲨᲔᲐᲚᲚᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ.

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲔᲑᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲡᲛᲣᲚ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ.

ᲙᲝᲒᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲦᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲡ ᲘᲡᲔᲗ ᲨᲔᲗᲘᲮᲛᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲩᲝᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ.

„მიხეილ დაუშვილს აინტერესებდა, რატომ მივიღეთ ამნისტიის კანონი მელიასთან დაკავშირებით. მარტივად გიპასუხებთ, სამი უცხოელი ითხოვდა ამას დაჟინებით. სამი უცხოელი ითხოვდა დაჟინებით და ჩვენ მოგვიწია კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასვლა, მაგრამ გპირდებით, აღარასდროს ასეთ შეთანხმებას აღარ მოვაწერთ ხელს, ისეთ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასვლას. რამდენმა უცხოელმაც არ უნდა მოითხოვოს, თუ საქმე ეხება კონსტიტუციას, კონსტიტუციურ ჩარჩოს, ჩვენთვის მომავალში კატეგორიულად მიუღებელი იქნება ნებისმიერი ასეთი თავს მოხვეული შეთანხმება“.

ᲙᲝᲒᲐᲮᲘᲫᲔᲡ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲛᲐ, ᲐᲜᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ: „ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲗ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ. ᲮᲕᲐᲚ ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐᲘᲜᲘᲪᲘᲠᲓᲔᲡ, ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲗ თუ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲗ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲗ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ?“

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, პოზიტიური თვალსაზრისით, იმ კანონზე მეტი იყო, ვიდრე მოქმედებს ამერიკაში ცნობილი „ფარას“ კანონი. ქართული ვერსია ითვალისწინებდა ერთადერთ რამეს, არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭვირვალობას და ამ კუთხითაც მაქსიმალურად რბილი იყო. ერთადერთი, რასაც ითვალისწინებდა, ეს იყო ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციის წარდგენა – ბევრად ნაკლები ვალდებულება, ვიდრე აქვთ დაწესებული, მაგალითად, პოლიტიკურ პარტიებს. ფაქტია, ვიღაცებისთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან ვიღაცებს, როგორც ჩანს, ბევრი რამ ჰქონდათ დასამალი. დღემდე ყურმოკვრით ვიღებთ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, ვინ საიდან ფინანსდება, მათ შორის საიდან ფინანსდებიან კონკრეტული ექსტრემისტული ორგანიზაციები და ასე შემდეგ. გამჭვირვალობა არის ნული.

ობიექტურად, საზოგადოების ინტერესებშია, ეს არ არის ცალკე აღებული ჩვენი ინტერესი, რომ ნებისმიერი სუბიექტის გარე დაფინანსება იყოს გამჭვირვალე, თუმცა ჩვენი პოლიტიკური პოზიცია ცნობილია. სხვადასხვა მიზეზის გამო ჯერ გაწვეულ იქნა კანონი – ანგარიში გავუწიეთ თუნდაც იმ ადამიანებს, რომლებიც შეცდომაში იყვნენ შეყვანილი, აპროტესტებდნენ წაუკითხავ კანონს, განსხვავებით ანა ნაცვლიშვილისგან, მას წაკითხული აქვს და იტყუება. ანგარიში უნდა გავუწიოთ თითოეულ მოქალაქეს, მათ შორის იმ მოქალაქესაც, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი. ეს იყო ჩვენი მიდგომა, როცა კანონი გავიწვიეთ და მომავალშიც ამ მიდგომით გავაგრძელებთ მოქმედებას. ამის გამოხატულებაა, რომ არ ვუბრუნდებით კანონს, ეს არის ჩვენი მყარი პოზიცია, მაგრამ, თავისთავად, გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. არა ხელისუფლებისთვის, არამედ საზოგადოებისთვის.“

ᲙᲝᲒᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ ᲐᲜᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲝᲚᲘᲒᲐᲠᲥᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ.

„რაც შეეხება დეოლიგარქიზაციას, ანა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, თითქოს ევროპარლამენტი მიიჩნევს ბიძინა ივანიშვილს ოლიგარქად, რაც ტყუილია. ერთადერთი ევროპარლამენტარი იყო ქალბატონი რასა, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა. ამის შემდეგ მუდმივად იმეორებენ, რომ ევროპარლამენტს მიაჩნია ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქად. რაც შეეხება მსგავს რეზოლუციებს, რომლებიც დამტკიცდა რაღაცა მსგავსი შინაარსით, ეს რეზოლუციები იყო უსამართლო. ჩვენ გამოვთქვით დასაბუთებული კრიტიკა და მას შემდეგ ასეთი რეზოლუციები ევროპარლამენტში აღარ მიიღება. ეს არის პასუხი ქალბატონი ანა ნაცვლიშვილის კითხვაზე. და შეგახსენებთ, რომ ქალბატონი ანა არის იმ პარტიის წარმომადგენელი, რომლის თავმჯდომარეც გახლავთ ნამდვილი ოლიგარქი.“

2008 ᲬᲔᲚᲡ ᲠᲐᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲛᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ, ᲛᲔ ᲨᲔᲕᲐᲤᲐᲡᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲚᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ, ᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔ.

„შემიძლია, ჩამოვთვალო ის ყველაფერი, რაც წინ უძღოდა 2008 წლის ღალატს. ეს იყო, მათ შორის, მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრების აღდგენა, კოდორის ხეობისთვის ზემო აფხაზეთის სახელის მიკუთვნება, ალტერნატიული სეპარატისტული არჩევნების ჩატარება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. რა შეიძლება ამას დავარქვათ, თუ არა ღალატი? ეს მხოლოდ ერთჯერადი ღალატი კი არ იყო, თანმიმდევრულად მიდიოდნენ ეს ადამიანები დიდი ღალატისკენ, რის საფუძველზეც ჩააბარეს ჩვენი ორი ისტორიული რეგიონი – აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსეთის ფედერაციას. ამის შემდეგ თქვენ გააფორმეთ ეს ოკუპაცია, ევროსაბჭოს რეზოლუციას მოაწერეთ ხელი და იქ ჩაწერეთ, რომ ქართულმა მხარემ დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები.“

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ, ᲒᲔᲥᲐ ᲚᲘᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ, ᲠᲛ ᲓᲐᲔᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲘᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲜᲓᲝᲑᲐᲡ.

„ბექა ლილუაშვილმა იკითხა, შემიძლია თუ არა დავასახელო ერთი ფაქტი, რის გამოც ვიმსახურებ ნდობას. ცოტა გამიჭირდება ჩემს თავზე ვისაუბრო. მე ვახსენე, რაც გავაკეთეთ ჩემს გუნდთან ერთად, კონკრეტულად, პარლამენტში. ჩვენს პოლიტიკურ გუნდს უამრავი რამ აქვს გაკეთებული და მე ვარ ამ ყველაფრის თანამონაწილე, რითიც ვამაყობ. ეს არის უამრავი საქმე, რომელიც გაკეთდა ჩემი მონაწილეობით. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, გამიჭირდება დეტალურად ჩემს თავზე საუბარი, ეს უბრალოდ არ იქნება სწორი, მაგრამ მე იმ პარტიის წარმომადგენლისგან, თქვენს ადგილზე რომ ვიყო, არ დავსვამდი კითხვას, რომლის ლიდერსაც ძალიან ბევრი „საგმირო საქმე“ აქვს ჩადენილი – მარტივად ჩამოვთვლი, რაც აქვს ამ კაცს გაკეთებული: „ბასიანი“, პანკისი, რაც არის უმძიმესი ქმედებები, 20 ივნისის სროლა...“

ᲝᲠᲘᲝᲚᲓᲔ ᲪᲘᲢᲐᲢᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲓᲐᲜ:

ᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲩᲐᲑᲚᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲔᲕᲓᲐ ᲝᲛᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲝᲡᲔᲑᲗᲐᲜᲐᲪ, ᲠᲐᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲡᲬᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲛᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲔᲑᲛᲐ ᲐᲦᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲡᲠᲝᲚᲝᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ. ᲐᲛ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲣᲨᲕᲔᲑᲗ. ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ“.

* * *

„ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ 20 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ 15 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲒᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲕᲘᲧᲝᲗ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲝᲠ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲒᲐᲕᲐᲜᲣᲚᲔᲑᲗ. ᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲒᲔ – ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ 2024 ᲬᲔᲚᲡ, ᲘᲡᲔ 2025-2028 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲐᲛ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ“.

ბულგარეთის ელჩი: ძალიან ამბიციური და ყოვლისმომცველი პროგრამაა!

ძალიან ამბიციური და ყოვლისმომცველი პროგრამაა. იმედი მაქვს და მჯერა მაქსიმალურს გააკეთებენ იმისთვის, რომ საქართველომ გადადგას ნაბიჯი წინ, რათა გახდეს თანამედროვე, აყვავებული ქვეყანა, სადაც არ არის სიღარიბე ან შემცირებულია სიღარიბე, რადგან ყოველივე ეს დაკავშირებულია ევროკავშირში გაწევრიანებასთან, – ამის შესახებ ბულგარეთის ელჩმა საქართველოში **ვესელინ ვალკანოვმა** განაცხადა.

„როგორც კი ამ პროგრამას შეასრულებთ, ის ნაბიჯებიც თავისთავად შესრულდება. სპეციალური სამოქმედო გეგმაა შემუშავებული და იმედი მაქვს, რომ მისი შესრულების შემდეგ ყველა დიდ წარმატებას ვიზეიმებთ“, – აღნიშნა ელჩმა.

გერმანიის ელჩი: საქართველო რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაწევრიანდეს ევროკავშირში

საქართველოს ვუსურვებ წარმატებას. როგორც კი პრემიერს დამტკიცებენ, მასაც ვუსურვებ წარმატებას, – ამის შესახებ საქართველოში გერმანიის ელჩმა **პეტერ ფიშერმა** განაცხადა.

„როგორც ვიცი, ევროკავშირში ინტეგრაცია არის პრიორიტეტი და ეს ჩვენი პრიორიტეტიცაა, რომ საქართველო რაც შეიძლება სწრაფად და შეუფერხებლად დაგვიახლოვდეს და გაწევრიანდეს ევროკავშირში. მოქმედი ხელისუფლებისგან ვიცით, რომ მოსალოდნელია საქმიანობის უწყვეტობა, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს სვლა ევროინტეგრაციის გზაზე“...

პარლამენტი მთავრობის განახლებული შემადგენლობისთვის ნდობის გამოსაცხადებლად ემზადება. პრემიერობის კანდიდატი ცოტა ხნის წინ დეპუტატების წინაშე მოხსენებით წარდგა. მოხსენებას ესწრებოდა დიპლომატიური კორპუსიც. ელჩები ირაკლი კობახიძეს პრემიერის რანგში წარმატებას უსურვებენ და მზადყოფნას გამოთქვამენ მომავალშიც აქტიური თანამშრომლობა გააგრძელონ.

საფრანგეთის ელჩი კობახიძეს მიესალმება

საფრანგეთის ელჩი საქართველოში **შერაზ გასრი** პარლამენტში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ირაკლი კობახიძის გამოსვლას გამოეხმაურა.

„ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. ვიცით ახალი პრემიერ-მინისტრის გეგმა. ვუსურვებთ მას და ქართველ ხალხს, რომ მან წარმატებით განახორციელოს თავისი გეგმა, რომელიც უპირველეს ყოვლისა საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების რეალიზებას ითვალისწინებს“, – განაცხადა საფრანგეთის ელჩმა.

ნიკოლ ფაშინიანი: საქართველოს მიერ EU-ს კანდიდატის სტატუსის მიღება ცვლის რეალობას რეგიონში

„მნიშვნელოვანი რეალობა შეიცვალა. და ერთ-ერთი მათგანია საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვება, რაც ობიექტურად აისახება რეგიონზე.

ახლა ირკვევა, რომ სომხეთის მეზობელი ქვეყნებიდან ორს აქვს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი (საქართველო და თურქეთი. რედ.) და თუ ადრე შეიძლებოდა გვეთქვა „სად არის ევროკავშირი და სად არის ჩვენი რეგიონი?“ ახლა, ფაქტობრივად, ევროკავშირი – ეს ჩვენი რეგიონია“, – თქვა სომხეთის პრემიერმა და აღნიშნა, რომ საქართველოსთან სტრატეგიული დიალოგის დაწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

შალვა პაპუაშვილი ანა ნაცვლიშვილს: თქვენს გულსაბნევზე ჯერ უნდა იყოს საქართველოს დროშა, შემდეგ - ევროკავშირის!..

თქვენს გულსაბნევზე ჯერ უნდა იყოს საქართველოს დროშა, შემდეგ – ევროკავშირის. იქნებ თქვენს პარტიაში ასეთი სახის გულსაბნევები დაამზადონთ, – ასე მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** „ლელოს“ წევრს **ანა ნაცვლიშვილს.**

პაპუაშვილის თქმით, ამას გულისხმობს ეროვნული დროშის გამოსახვის სტანდარტი.

მანამდე ანა ნაცვლიშვილმა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ირაკლი კობახიძეს კითხვით მიმართა: „პრემიერს ასახელებს ადამიანი, რომელსაც ევროპის პარლამენტი უწოდებს რუს ოლიგარქს. რუსი ოლიგარქის მიერ დასახელებული პრემიერი შეძლებს თუ არა, მოახდინოს დეოლიგარქიზაცია და წაიყვანოს ქვეყანა ევროპისკენ“.

„ქალბატონო ანა, შეგატყვეთ, რომ გულსაბნევი გაქვთ ევროკავშირის და საქართველოს დროშით. როგორც ჩანს, ეს გულსაბნევი სადღაც გაჩუქეს, თუმცა, მგონი, თქვენს პარტიას არ გაუჭირდება, დაამზადოს სხვა სახის გულსაბნევი. თქვენ ხართ საქართველოს პარლამენტის წევრი, ხოლო ეროვნული დროშის გამოსახვის სტანდარტი გულისხმობს, რომ ჯერ უნდა იყოს საქართველოს დროშა, შემდეგ – ნებისმიერი სხვა დროშა.

თქვენს გულსაბნევზე თქვენგან მარჯვნივ უნდა იყოს ჯერ საქართველოს დროშა, შემდეგ – ევროკავშირის. გთხოვთ, იქნებ თქვენს პარტიაში შეძლოთ და ასეთი სახის გულსაბნევები დაამზადოთ“, – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

სოზარ სუბარი: სალომე ზურაბიშვილის პარლამენტში გამოსვლა იყო არა საქართველოს პრეზიდენტის, არამედ უცხო ქვეყნის აგენტის გამოსვლა

„სალომე ზურაბიშვილის გამოსვლას ვერ დავარქმევ კრიტიკულს, ეს იყო ქვეყნის საწინააღმდეგო, მტრული გამოსვლა. ეს არ იყო საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა, ეს იყო უცხო ქვეყნის აგენტის გამოსვლა. როდესაც მასზე ამბობდა ოპოზიცია („ნაციონალური მოძრაობა“ და არამხოლოდ ისინი), რომ ის აგენტია, როგორც ჩანს, მთლად შორს არ იყვნენ სიმართლისგან. სხვანაირად არ შეიძლება, ქვეყნის პრეზიდენტი ასე მტრობდეს ქვეყანას. როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი აბსოლუტურად შეგნებულად, გაცნობიერებულად და მრავალგზის არღვევს საქართველოს კონსტიტუციას, ეს არის ქვეყნის მტრობა.

როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი დადის უცხოეთში ან საქართველოში უცხოელ კოლეგებთან შეხვედრის დროს პირდაპირ ამბობს, რომ საქართველო არ იმსახურებს ევროკავშირში გაწევრებას და კანდიდატის სტატუსის მიღებას, ეს არის ქვეყნის მტრობა. მამუკა მდინარაძემ აიძულა, ეღიარებინა, რომ საქართველო, ქართველი ხალხი იმსახურებდა კანდიდატის სტატუსსაც და იმსახურებს ევროკავშირის წევრობასაც. ვახსენე სიტყვა დეფიტიზმი, რომელიც მას არაერთხელ ჰქონდა ნახსენები და მინდა, განვმარტო, რას გულისხმობდა ამ ტერმინში – თითქოს როდესაც ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოს ავაცილოთ ომში ჩართვა, ეს არის წინასწარ მარცხისთვის განწირული ქმედება ჩვენი მტრების წინაშე“, – განაცხადა **სუბარმა.**

სოზარ სუბარის განცხადებით, **„ქვეყნის მტრობაა, როდესაც ყველაფერს აკეთებ, რომ ქვეყანა ჩაითრიო ომში, როგორც ეს მოხდა 2008 წელს“.**

სუბარმა ასევე განმარტა, რას გულისხმობდა საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, როდესაც საქართველოს პრეზიდენტს მისი ემიგრირებული წინაპრები შეახსენა.

„მე სწორედ იმით დავიწყე საუბარი ემიგრაციაში წასულ სალომე ზურაბიშვილის წინაპრებზე, რომ დავუდასტურე პატივისცემა, მაგრამ როდესაც იგი საუბრობს დეფიტიზმზე და ასევე, ყველას გვახსოვს მისი ცნობილი ინტერვიუ, სადაც განაცხადა, რომ ის უფრო ზემოთ დგას, ვიდრე ხალხი, ეს არ არის მისი, მხოლოდ როგორც პრეზიდენტის პოზიცია, მას ეს არაოგანტულობა აქვს იმ წუთიდან, რაც ჩამოვიდა საქართველოში და მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. ამას ვერ მივიღებთ, რადგან როგორც პატივისცემას იმსახურებენ ის ადამიანები, რომლებიც წავიდნენ ქვეყნიდან (მათ შორის, ვთქვათ, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელმაც იბრძოლა საქართველოსთვის, ასევე, მისი შეფიცულების ნაწილი წავიდა), ასევე, პატივისცემას იმსახურებენ ისინი, ვინც აქ დარჩნენ. მაგალითად, არ წასულა მიხა ხელაშვილი, ასევე, გიძინა პირველი, რომელიც სვანეთში აჯანყებას ხელმძღვანელობდა, ეს ადამიანები დაიღუპნენ აქ, ზოგი დახვრიტეს, ზოგი მოკვდა, ზოგიც გადარჩა.

ზემოდან არავინ არავის არ უნდა უყურებდეს და ამის შეხსენება მინდოდა სალომე ზურაბიშვილისთვის და სხვა არაფრის. ეს მისი პოზიციაა, თორემ აქედან წასული ემიგრაციის წარმომადგენლების შთამომავლები ასე არ იქცევიან. ამიტომ მე მას შევახსენე, რომ მისი ეს საქციელი არ არის სწორი, როგორც შევახსენე ისიც, რომ საეჭვოდ დაემთხვა მისი ასეთი პოზიცია მისი შვილების თანამდებობრივ დაწინაურებას.

ქართველი ხალხი ყველაფერს ძალიან კარგად ხედავს და ამიტომაც მიიღო მან 2006 წლის არჩევნებზე 2%. აქვე აღვნიშნავ, რომ 20018 წელს, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინა, ჩვენი მიდგომა იყო ასეთი – ჯერ ერთი, აგვერჩია არაპარტიული ადამიანი და მეორე მიზები, რის გამოც არჩევანი ზურაბიშვილზე შეჩერდა, იყო ის, რომ იმ დიდი პატივისცემის გამო, რაც გვაქვს ჩვენი ემიგრირებული წინაპრების მიმართ, რაღაცნაირად მოგვეხდინა პირველი რესპუბლიკის და თანამედროვე საქართველოს გაერთიანება და ამის სიმბოლო თითქოს უნდა ყოფილიყო სალომე ზურაბიშვილი, მაგრამ ხალხმა ეს არ მიიღო და ამიტომაც წააგო პირველი ტური. მან მოიგო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბილბორდებზე „ქართული ოცნების“ ლიდერები გამოჩდნენ. კარგი იქნებოდა, ეს სალომე ზურაბიშვილსაც ახსოვდეს და შეეშვას ქართველი ხალხისთვის ზემოდან ყურებას და არაგანტულობას, რაც არაერთხელ გამოუვლენია“, – განაცხადა **სოზარ სუბარმა.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 106 წლისაა!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა თსუ-ის 106 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თსუ-ის პანთეონში, უნივერსიტეტის დამფუძნებლების საფლავები ყვავილებით შეამკეს. ღონისძიებაში ვარშავის უნივერსიტეტის დელეგაცია მონაწილეობდა.

„ვულოცავ ყველას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 106 წლის იუბილეს. უნივერსიტეტის დაარსება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში, ვინაიდან, უნივერსიტეტი იქცა არა მხოლოდ განათლების ცენტრად, არამედ, ზოგადად, მეცნიერების განვითარების მთავარ კერად მე-20 საუკუნის საქართველოში. მაგრამ ყველაზე უფრო ნიშანდობლივი მაინც ის არის, რომ საბჭოთა რეჟიმის დროს უნივერსიტეტი ინარჩუნებდა მთავარ ნაციონალურ იდეას, რომელზეც გასული საუკუნის 90-იან წლებში ახალი სახელმწიფო დაფუძნდა. სწორედ ესაა უნივერსიტეტის უპირველესი მისია“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს კვლავ უმაღლესი განათლების ფლაგმანია საქართველოში. **თსუ 30-მდე კორპუსში, მათ შორის 12 სასწავლო კორპუსში, 7 ფაკულტეტის 240 საგანმანათლებლო პროგრამაზე, 25 ათასამდე სტუდენტი სწავლობს და 16 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია განთავსებული.**

გაფარჩაკებულ ოპოზიციას გვარამიას და მელიას იმედი აქვს!

რადიკალები საქართველოში ისრაელის სცენარის განმეორების გეგმაზეც მუშაობენ

ნიკა გვარამია ადასტურებს, რომ პოლიტიკაში მოდის, მაგრამ პარტიის შექმნას არ ჩქარობს და ამ დრომდე კონსულტაციებს აწარმოებს. აცხადებს, რომ მომხრეა ფართო გაერთიანების, რომელიც იბრძოლებს გამარჯვებისთვის. 5%-იანი ბარიერის დაძლევა, ათკაციანი, თუ ოცკაციანი საპარლამენტო ფრაქცია, სრულიად უინტერესოა მისთვის, მაგრამ მზად არის ყველანაირი დათმობისთვის ერთობის მიღწევის მიზნით, მათ შორის, ცალმხრივი დათმობისთვისაც.

ნიკა გვარამია ადასტურებს, რომ ჯერ არ შექმნილ პარტიაში „ნაციონალურ მოძრაობის“ ადგილი არ არის, თუმცა პარტიაში **ზურაბ პაფარიძეს, ელენე ხოშტარიასა** და **ნიკა მელიას** ხედავს და კონსულტაციებსაც აწარმოებს. მათ შორის დაწყებული აქვს კონსულტაციები „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ წევრთან **ხატია დეკანოიძესთან**. როგორც გვარამია ამბობს, მისთვის მნიშვნელოვანია იმგვარი ჯგუფების შექმნა, რომელიც ცვლილებებს ჩაუყრის საფუძველს.

ის, რომ გვარამია „ნაციონალურ მოძრაობას“ ოფიციალურად გამოეყოფა, არ სჯერათ მმართველ გუნდში. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, დაიდგმება დრამატული სცენა თუ როგორ გაემიჯნა ერთი, ან ორი ადამიანი „ნაციონალურ მოძრაობას“, რაც **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, ყოველთვის „ჰეფი ენდით“ მთავრდება.

„ბოლოს ეს „ჰეფი ენდი“ ვნახეთ გიორგი ვაშაძის შემთხვევაში. ადამიანი, რომელიც ასე დასცილდა, გაემიჯნა, აკრიტიკებდა, თავს ესხმოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და სამოლოო ჯამში ჩაეხუტა და ისიც ჩახუტებით მიიღო დედა-პარტიამ უკან, საკუთარ რიგებში. ის მუდმივი პოლიტიკური სიყვარული, რომელიც ამ ადამიანებს შორის არსებობს, იმარჯვებს ხოლმე. კინოც აღარ არის, ტელესერიალია ბრაზილიური ან რომელიმე სხვა, რომლის სცენარიც უკვე ვიცით“, – აცხადებს **შალვა პაპუაშვილი.**

ანალიტიკოსები კი ამბობენ, რომ ყოფილი ნაციონალი არ არსებობს, რომელიც კიდევ ერთხელ დაადასტურა **გიორგი ვაშაძემ** და უფრო ადრე **გიგი უგულავამ,** რომელიც დღეს ცდილობს პოლიტიკურ კულისებში დარჩეს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პოლიტიკური ტემპერატურა მოიმატებს არჩევნების მოახლოებასთან ერთად. კერძოდ, როგორც ირკვევა **ნიკა გვარამიასთვის,** ისევე როგორც ყოფილი ნაცებისთვის სულაც არ „ტეხავს“ „ნაციონალობა“, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობენ. თითქოს აზრთა სხვადასხვაობა საარჩევნო კამპანიის ნაწილია, რადგან ერთად აღებულმა ოპოზიციამ იცის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ინარჩუნებს ამომრჩევლის იმ რაოდენობას, რომ კვლავ რჩება როგორც მეორე პოლიტიკური ძალა. შესაბამისად, ახლა ოპოზიცია ცდილობს, მიაღწიოს მაქსიმუმს, რომ საქართველოში განმეორდეს ისრაელის მაგალითი. კერძოდ, საპარლამენტო არჩევნებზე მმართველმა გუნდმა ვერ მიიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა და პარლამენტში გაჩნდეს მესამე ძალა, რომლის მონაწილეობის გარეშე „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებს მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას, მათ შორის ბიუჯეტის დამტკიცებას, რაც შექმნის სამთავრობო კრიზისს ქვეყანაში.

რამდენად შეძლებს ოპოზიცია საქართველოს ისრაელიზაციას რთული სათქმელია ანალიტიკოსებისთვის. ჯერჯერობით ოპოზიციის მწყობრ ჩამოყალიბებულ გეგმას, გარდა მისი ტრადიციული ლოზუნგებისა, რომ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება და არ უნდა დაუშვან „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი ვადით დარჩენა, ვერ ხედავს ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე,** რომლის განცხადებით, ახლა ოპოზიცია იმყოფება საკუთარი ძალების რეალურად შეფასების პროცესში.

„ოპოზიციურ ფლანგზე მიდის პროცესები, არენაზე უნდა გამოვიდეს ნიკანორ მელიას და ნიკა გვარამიას პარტიები, დიდი ალბათობით, პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნება „ხალხის ძალა“, რომელიც ასევე გარკვეულ ელექტორალურ სეგმენტზე იმუშავებს. შესაბამისად, ასეთი ჭრელი პოლიტიკური სპექტრის პირობებში, ვფიქრობ, რომ მოხდება გარკვეული კორექტირება გეგმისა, რა უნდა ოპოზიციას. ოპოზიციაშიც, მიუხედავად მათი საჯარო განცხადებებისა, არ ზიან მთლად გულუბრყვილო ხალხი და რეალურად აფასებენ თავიანთ შესაძლებლობას. ჩემი ვარაუდით, მიუხედავად იმ მყვირალა განცხადებებისა, რასაც ისინი აკეთებენ, ოპოზიციის მიზანია პარლამენტში აიღონ რაც შეიძლება მეტი ხმა, რომ იქ იყვნენ წარმოდგენილი და იქ მოახდინონ სიტუაციაზე ზეგავლენა“, – აცხადებს **ანჯაფარიძე.**

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, ოპოზიციაში ესმით, რომ ჯერჯერობით ამ მოცემულობით, უახლოეს პერსპექტივაში, ოპოზიციას არჩევნებში გამარჯვების სერიოზული შანსები არ აქვს. ამიტომ ვფიქრობ, რომ მათი მთავარი მიზანი არის როგორმე გადალახონ 5%-იანი ბარიერი და თუ მოხდა ისე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ აიღო 50%-ზე მეტი, ეს ოპოზიციისთვის საჩუქარი იქნება.

„ასეთ შემთხვევაში, შეეცდებიან ჩამოაყალიბინონ კოალიციური მთავრობა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არის ნაკლებად რეალისტური გეგმა. უფრო რეალისტური გეგმაა, რაც შეიძლება მეტი პარტია მოხვდეს პარლამენტში. ანუ, 5%-იანი ბარიერის გადალახვა არის მათთვის ახლა მთავარი მიზანი. რაც შეეხება გვარამია-მელიას ტანდემს, რთულია ჯერ ჩამოუყალიბებელ და შეუქმნელი პარტიის შანსებზე საუბარი, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოების თვალში როგორც ერთი, ისე მეორე აღიქმება როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი დანაყოფი.

რაც შეეხება 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსს, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ტიპის საარჩევნო კამპანიას აწარმოებენ, რამდენად მოიზიდავენ ფინანსურ, თუ სხვა რესურსებს. შანსები, ვფიქრობ, რომ დიდი არ არის, ასე ვიტყოდი – 40-60-ზეა. იმიტომ, რომ ყველამ კარგად იცის ვინ არის ნიკა გვარამია და რა ხალხიც არ უნდა შემოიკრიბოს გვერდით, ამ პარტიის მთავარი განმსაზღვრელი ფიგურა იქნება თავად ნიკა გვარამია და შესაბამისად, ის ასოციაცია, რაც აქვს საზოგადოებას მის საქმიანობასთან და მის კრედოსთან დაკავშირებით, ეს ასოციაციები არსად არ წასულა. იგივე შეიძლება ითქვას ნიკანორ მელიაზე. გვახსოვს, როგორც პარტიის თავმჯდომარე რას აკეთებდა და როგორ იქცეოდა“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ზაალ ანჯაფარიძემ.**

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** არ გამორიცხავს, რომ დღეს ოპოზიციის მთავარი გეგმა იყოს საქართველოში ისრაელის სცენარის განმეორება.

„ოპოზიცია ყველა ასეთ სცენარს მიესალმება, რომელიც თავის ტკივილი გახდება „ქართული ოცნებისთვის“, ოღონდ, რა თქმა უნდა, განსხვავებით სხვა შემთხვევებისგან, მათ შორის ისრაელისგან, შეუძლია თუ არა ოპოზიციას შექმნას ასეთი ფრთა, რომელიც ამ კრიტიკულ შემთხვევაში „ოცნების“ გადაწვეტილებას გადაწონის და არ მისცემს მას გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, რომ აუცილებელი გახდეს „ოცნებისთვის“ ოპოზიციის ჭკუაზე სიარული? არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობის არსი არის ის, რომ გამარჯვებული პარტია იძულებული იქნება, ანგარიში გაუწიოს ოპოზიციას. ამისკენ მიდიან, რახან თვითონ ვერ იმარჯვებენ, გახდნენ ანგარიშგასაწევი ძალები, ბუნებრივი მიზანია, მაგრამ მეეჭვება, რომ მაგ მიზანს მიაღწიონ“, – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

მოამზადა
თამთა ჟარჩავამ

ყეფენ ყეფისთვის!

ხაბე რომ ჩაანაცვლონ, ვისით უნდა ჩაანაცვლონ, რომელი ჰყავთ უკეთესი? გვარამიაა ხაბეზე უკეთესი, თუ ხოშტარია?!

ნაცებმა ახალი ტაქტიკა შეიმუშავეს – ლევან ხაგეიშვილის ჩანაცვლება ნიკა გვარამიათი. პოლიტიკაში სულ მუდამ მყოფი გვარამია კიდევ უფრო მეტ გააქტიურებას გეგმავს და ხაგეიშვილისთვის წართმეულ ელექტორატს ჰპირდება, რომ „ბლიცკრიგისთვის“ ემზადება, რადგან მისი პოლიტიკური პლატფორმა ფორმირების პროცესშია, მისი გუნდის მნიშვნელოვანი ბირთვი კი უკვე ჩამოყალიბებულია.

პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილის** მხრიდან შეწყალების შემდეგ გვარამია უკვე რამდენიმე თვეა, აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას გეგმავს და ცდილობს, ისე წარმოაჩინოს, თითქოს მისი მოკავშირეები „ნაცმოძრაობის“ მიღმა არიან. გვარამია მოელის, რომ არჩევნებში ნაცებზე მეტ ხმებს აიღებს, ამიტომ ნაციონალებთან გაერთიანებას ჯერ არ გეგმავს, მაგრამ ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, კოალიციას მათ გარეშე ვერ ხედავს.

აღმოჩნდა, რომ გვარამიასთვის პრიორიტეტს ახალი სახეები წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთ სფეროში წარმატებულნი არიან. გვარამიაზე უკეთ ვის ეცოდინება, რომ ნაციონალების ძველი სახეები თვით საკუთარ ამომრჩეველსაც არ სჭირდება, მაგრამ გვარამიას გამორჩა ერთი მთავარი რამ, რომ იმ ახლებში თავად იქნება ძველი სახე და ძველი ლოკომოტივით წაყვანილი ახალი მატარებელი ახლად ვერ აღიქმება.

არჩილ თალაკვაძე მიიჩნევს, რომ გვარამიას ყველა განცხადება რეალობას მოკლებულია, თითქოს იგი პოლიტიკაში ბრუნდება, როცა პოლიტიკიდან არც გასულა და თითქოს სხვადასხვა შეთავაზებას განიხილავს პარტიებისგან, როდესაც პირიქით ხდება – კარდაკარ დადის და სხვადასხვა პარტიას ეხვეწება, რომ მიიღონ.

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ ნაციონალებს შესაძლოა, მცდელობა აქვთ, ხაგეიშვილი გვარამიათი ჩაანაცვლონ, რადგან ხაგეიშვილი ძალიან ოდიოზური ფიგურაა და საპარლამენტო არჩევნებში ხაგეიშვილის მეთაურობით გასვლა არ აწყობთ. ხაგეიშვილთან შედარებით გვარამია ერთი თავით მაღლა დგას ყველაფერში, მაგრამ გვარამია იმ სისტემის ნაწილია, რეპრესიული სისტემის ნაწილი.

„ქართულ ოცნებას“ თუ ასეთ თემას მისცემ საარჩევნოდ, ამას რა სჯობს? ისევ დაიწყება მუდმივად ლაპარაკი იმაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ნომერ პირველი კონკურენტია და „ოცნება“ თუ წააგებს, მოვლენ ნაცები. ის, რომ ნაცების დაბრუნების საშიშროება არსებობს, სულ ახლახან ჩატარებულ ყრილობაზეც გამოჩნდა, სადაც ღარიბაშვილმა თქვა, რომ „ნაცმოძრაობა“ დაშლილია პატარ-პატარა პარტიებად“, – აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ, მისი ინფორმაციით, ნიკა გვარამია ისეთ ოდიოზურ ფიგურებთან ყოფნას აპირებს, როგორიცაა ემგიმოელი ხოშტარია და „გირჩი“ ზურაბა. ეს კი ერთ ქართულ სიბრძნეს მოგვაგონებს, „მკვდარი მკვდარსა აეკიდა, საფლავამდე მიმათრიეო“.

„ქართული კლასიკის შედევრი „ბაში-აჩუკი“ გავიხსენოთ, სადაც აბდუშაჰილს რომ წააქცევს ბაში-აჩუკი, ქართველები ამბობენ, „ახლა გინდ შეიტანე, გინდ გამოიტანე ეგ შენი რუმბივით გაგორებული ფალავანი“-ო. ანალოგიური სიტუაციაა გვარამიასა და ე.წ. ტროიკის შემთხვევაში. ესენი არიან პოლიტიკურ კანალიზაციას გაყოლილი პოლიტიკური გვამები და ყეფენ ყეფისთვის. ხაბე რომ ჩაანაცვლონ, ვისით უნდა ჩაანაცვლონ? რომელი ჰყავთ უკეთესი? გვარამიაა ხაბეზე უკეთესი, ხოშტარია, თუ „გირჩი“ ზურაბა? სამივე ერთი დედის შვილები არიან. უკეთესი იქნება, ისინი გაეცალონ ქართულ პოლიტიკას. თუ რაღაც სასწაული არ მოხდა გარედან, დარწმუნებული ვარ, ეს ხელისუფლება არჩევნებს აუცილებლად დიდი ანგარიშით მოიგებს და, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი სატელიტების პოლიტიკურ-სამართლებრივი გასამართლება. მათ აუცილებლად პასუხი უნდა აგონ იმ უბედურებისთვის, რაც ქვეყანას დაატეხეს“, – აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე.**

მისივე აზრით, ასევე, პასუხი უნდა აგონ იმ აგენტებმა, რომლებიც უკვე თვითონვე აღიარებენ, ჩვენ აგენტები ვართო. ხიდაშელმა პირდაპირ თქვა, მე ვარ „ტაივანჩიკიო“, ანუ ტაივანის აგენტიო.

„ალბათ, მისი ქმარი მანჯურიის აგენტია. ეს ხალხი იყო უმაღლეს საკომანდო ხელისუფლებაში, საკვანძო თანამდებობებზე, ხომ წარმოგიდგენიათ, რა სიტუაცია იქნებოდა „ნაცმოძრაობის“ დროს. ერთხელ და სამუდამოდ ეს დასამთავრებელია, თორემ ასეთ რყევებს ჩვენი სახელმწიფო ვერ გაუძლებს“, – მიიჩნევს ანალიტიკოსი.

მანანა ნოზაძე

სააკაშვილი ციხეში ზის იმისთვის, რისთვისაც უნდა იჯდეს!

6 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით წარდგა. ამის ფონზე, ოპოზიციონერი ლიდერების მხრიდან, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეწყალების საკითხი კიდევ ერთხელ გააქტიურდა. პოლიტიკოსები, ოპოზიციური ფლანგიდან, იმედს გამოთვქამენ, რომ ზურაბიშვილი მისი პრეზიდენტობის ბოლო წელს ყოფილ პრეზიდენტს შეიწყალებს და ეს იქნება ერთგვარი რევანში „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

მიხეილ სააკაშვილის შეწყალების შესახებ გააკეთა განცხადება „სტრატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარე **გიორგი ვაშაძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ, რადგან სალომე ზურაბიშვილი წელს ამთავრებს საპრეზიდენტო ვადას, მისთვის მნიშვნელოვანია მოისმინოს, აპირებს თუ არა იგი, გაათავისუფლოს მიხეილ სააკაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ წლიური ანგარიშის წარდგენისას, ზურაბიშვილის მხრიდან იყო კრიტიკა, ერთგვარი მიმართვებიც, მთავარსარდალს არც კი უხსენებია ყოფილი ლიდერის შესაძლო შეწყალების საკითხი.

დაასრულეთ ერთმანეთის ლანძღვა, გინება და ერთმანეთთან დაპირისპირება, რომელიც საზოგადოებაში უიმედობისა და ნიჰილიზმის გამღვივებელია!

მკვდარი მკვდარს აეკიდაო!

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** აცხადებს, რომ მოქმედი პრეზიდენტისგან „ყველაფერია მოსალოდნელი“ და თუკი, ზურაბიშვილს უბრძანებენ, ის აუცილებლად შეასრულებს ამ ბრძანებას.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან ასევე მიმართა ოპოზიციას და აღნიშნა, რომ ოპოზიციამ ქვეყნისთვის მთავარ პრიორიტეტზე შეჯერება უნდა შეძლოს.

„მოგმართავთ თქვენ, ოპოზიციას! თქვენც გაკისრიათ გარკვეული პასუხისმგებლობა, დაასრულეთ ერთმანეთის ლანძღვა, გინება და ერთმანეთთან დაპირისპირება, რომელიც საზოგადოებაში უიმედობისა და ნიჰილიზმის გამღვივებელია!

ჩემი საქმე არაა, რომ გიბიძგოთ, ან გითხრათ გაერთიანდეთ თუ დაიშალოთ, მაგრამ გეუბნებით, რომ უნდა შეძლოთ ქვეყნისთვის მთავარ პრიორიტეტებზე შეჯერება. საზოგადოებას უნდა აჩვენოთ, რომ ამ ევროპული მიზნის ირგვლივ მაინც შეგიძლიათ ერთად საუბარი, მუშაობა და შედეგის მიღწევა. ოპოზიციის მთავარი მოვალეობაა, რომ მოახდინოს ევროპული არჩევანის მხარდამჭერი საზოგადოების მობილიზაცია და ჩართულობა“, – განაცხადა **სალომე ზურაბიშვილმა.**

გვენეტაძის შეფასებითვე, დღეს ოპოზიციის ლიდერების ერთგვარ გაერთიანებას, თუნდაც პრეზიდენტთან, აზრი არა აქვს:

„რაც არ უნდა გაერთიანდეს „მეხუთე კოლონა“, გნებავთ პრეზიდენტთან, გუბაზასთან თუ შალიკოსთან, მე ვიტყოდი ასეთ რამეს, ეს იგივე იქნება რაც „მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე მიმათრიეო“, – აღნიშნა **ედიშერ გვენეტაძემ.**

ექსპერტი **ვახტანგ მაისაია** გამორიცხავს ყოფილი პრეზიდენტის შეწყალების საკითხს. როგორც მან აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილი სასჯელს სამართლიანად იხდის.

„როგორც თავად პრეზიდენტმა თქვა, ის სააკაშვილს არ შეიწყალებს. თეორიულად დაუშვა, რომ შესაძლოა, ეს საკითხი განიხილებოდეს, მაგრამ არ მგონია, რომ მან სააკაშვილი შეიწყალოს, რადგან ის იყო მისი პირადი პოლიტიკური მტერი, ასევე მან კარგად იწვნია სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი.

მის შეწყალებას გამოვრიცხავ. სააკაშვილი ციხეში ზის ზუსტად იმისათვის, რისთვისაც უნდა იჯდეს და უნდა იყოს ციხეში. სააკაშვილს არაფერი აქვს შესაწყალებელი, რადგან სასჯელს დამსახურებულად იხდის“, – განაცხადა **ვახტანგ მაისაიამ.**

პოლიტოლოგმა **მიხეილ სააკაშვილის** და **ნიკა გვარამიას** საქმეები ერთმანეთს შეადარა და თქვა, რომ გვარამიას საკითხი განსხვავებული იყო.

„რაც შეეხება ნიკა გვარამიას, არის შესაძლებელი გევრ რამეზე შეედავო, მისი პროკურორობის პერიოდის გამო.

ჯობდა, „ქართული ოცნების“ დღევანდელ ძალოვან სტრუქტურებს ეს გამოეძია და ამაში დაედოთ რეალური ბრალი, ვიდრე არასამართლებრივად გაუმართლებელ საქმეზე. ეს ორი განსხვავებული ქეისია“, – დასძინა პოლიტოლოგმა.

აქვე შეგახსენებთ, რომ **საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ წერს, რომ ყველაზე მეტად იმ ხალხის არ ესმის, ვინც ამბობს „პრეზიდენტი იყო და ალბათ, რაღაცას დაუშავებდა“.**

მისი თქმით, მას არ დაუშავებია არაფერი, რაშიც ადანაშაულებენ. როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, სანამ პირში სული უდგას, არც ერთი წამი არ შეწყვეტს ბრძოლას ისტორიული სამართლიანობისთვის და ქართველოგისა და უკრაინელების უკეთესი მომავლისთვის.

ნიკო ჩოხელი

ედიშერ გვენეტაძე: ავანტიურისტ სააკაშვილს რამე რომ სჭირდეს, ორ ბავშვს ვერ გააკეთებდა „ვივამედში“!..

რას უპირებს ირაკლი კობახიძე მიხეილ სააკაშვილს? ფაქტია, რიტორიკის დონეზე ირაკლი კობახიძე, წინამორბედი პრემიერის მსგავსად, არ წყალობს სააკაშვილს.

ერთ-ერთი ბოლო კომენტირებისას კობახიძემ, ფაქტობრივად, მიანიშნა კიდეც, რომ სააკაშვილი შეთქმულების მონაწილეა, რადგან საქართველოში როცა ჩამოვიდა, უკვე საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ უკრაინაში ომი დაიწყებოდა. ირაკლი კობახიძის აზრით, ეს ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ სააკაშვილის ჩამოსვლის მიზანი იყო საქართველოს უკრაინიზაცია.

ციხეში სააკაშვილის გადაყვანის შესაძლო ვარიანტი აფრთხობთ მასთან დაახლოებულ ადამიანებს. კონსილიუმის წევრი, ექიმი **გიორგი გრიგოლია** ამბობს, თუ სააკაშვილი საპატიმროში გადავა, რამდენიმე კვირაში იმ სტატუსს დაუბრუნდება, რაც 6-7 თვის წინ ჰქონდა. გრიგოლიას თქმით, მართალია, სააკაშვილმა წონაში 7-8 კილო მოიმატა, მაგრამ მისი ფსიქო-ნევროლოგიური მდგომარეობა გაუმჯობესებული არ არის.

რას აპირებს თავად პაციენტი-პატიმარი?! სააკაშვილი ირწმუნება, რომ ამ არჩევნებში „ოლიგარქს კლანჯეგიდან გააგდებინებს საქართველოს“ და მალე ამ ბრძოლაში საკუთარ ადგილს საგოლოოდ გამოკვეთს.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** არ იზიარებს ირაკლი კობახიძის მოსაზრებას, თითქოს სააკაშვილი არაუნის კონტრინერით ისეთი ჩანაფიქრით გადმოვიდა საქართველოში, რომ უკრაინის ომის წინ ვითარება აერია და ამით უკრაინას დახმარებოდა.

...კობახიძე გააკეთებს იმას, რაც იქნება „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“

ანალიტიკოსის აზრით, ამ შემთხვევაში, როგორ კომიკურადაც „სმეტანის“ კონტეინერი გამოიყურება, ისეთივე კომიკური იყო სააკაშვილის საქართველოში შემოპარვის მოტივებიც და შეთქმულების თეორიაზე მსჯელობა აქ ზედმეტია.

„კობახიძეს უყვარს ხოლმე შეთქმულების თეორიის ჩამოკიდება ამა თუ იმ ფიგურაზე. რაც შეეხება მიშას მიმართ ირაკლი კობახიძის დამოკიდებულების გაგრძელებას, მეეჭვება, აქამდე რა დამოკიდებულებაც იყო მმართველი პარტიისა და აღმასრულებელი სტრუქტურების მხრიდან, ეს ყოფილიყო ღარიბაშვილის დამოკიდებულების ანარეკლი სააკაშვილის მიმართ, რადგან მიშას მიმართ ურთიერთობის წესი იმდენად რთული საკითხია და პოლიტიკურად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერთი ადამიანის გადაწყვეტილება არ იქნება საკმარისი. ასევე, ირაკლი კობახიძის გადაწყვეტილება არა მგონია, საკმარისი აღმოჩნდეს მიშასთან მიმართებით.

ენდომება თუ არა კობახიძეს სააკაშვილის გადაყვანა ციხეში, ეს მის სურვილზე დამოკიდებული არაა. ალბათ, ბევრნი არიან ასეთი სურვილის მქონენი, რომ სააკაშვილი გადავიდეს ციხეში და მოიხადოს სასჯელი იქ, სადაც ეკუთვნის, მაგრამ მთელი რიგი პოლიტიკური მოტივების გამო არ ჩქარობენ ამ გადაწყვეტილების მიღებას, რადგან სააკაშვილისთვის პირობების გამკაცრება კრიტიკის საფუძველს მისცემს ჩვენს მეგობრებს“, – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** დღევანდელი ხელისუფლებისგან პირდაპირ მოითხოვს, „ეს თაღლითი და პოლიტიკური ავანტიურისტი – მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც არაფერი ვრ სჭირს, გადაიყვანონ ციხეში“.

„სააკაშვილს რამე რომ სჭირდეს, ორ ბავშვს ვერ გააკეთებდა „ვივამედში“. ალბათ, ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის, რომელიც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია, სააკაშვილის ციხეში გადაყვანა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იქნება. დარწმუნებული ვარ, კობახიძე გააკეთებს იმას, რაც იქნება „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, – აღნიშნა **ედიშერ გვენეტაძემ** ჩვენთან საუბრისას.

ანალიტიკოს **დავით ზარდიაშვილს** უჭირს იმის დაკონკრეტება, რა პერსპექტივა ელის სააკაშვილს ირაკლი კობახიძის გაპრემიერების შემდეგ. მისი აზრით, კობახიძეზე ეს ნაკლებად იქნება დამოკიდებული.

„ირაკლი კობახიძესთან პირადულ ურთიერთობა მქონია და ვფიქრობ, ის ყველანაირად ეცდება, დისტანცირდეს ამისგან და მასზე არანაირად არ იყოს დამოკიდებული სააკაშვილის მდგომარეობა ციხეში, თუ „ვივამედში“. ეს უნდა გადაწყვიტონ პროფესიონალებმა, რომ, ერთი მხრივ, სასჯელის აღსრულებას არ შეექმნას პრობლემა, რადგან სააკაშვილი მსჯავრდებულია და, მეორე მხრივ, პრობლემა არ შეექმნას მის ჯანმრთელობას“, – აცხადებს დავით ზარდიაშვილი ჩვენთან საუბრისას.

მანანა ნოზაძე

„ᲘᲙᲔᲢᲔᲑᲐ“ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲘᲕᲘᲡ?!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲢᲔᲮᲘ ᲒᲐᲣᲬᲘᲜᲓᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲓᲐᲐᲓᲒᲜᲔᲜ ᲒᲠᲫᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ. ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲓᲔᲑᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲡᲐᲨᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲘᲐ ᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ?

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲐᲓ 5 ᲛᲐᲠᲢᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲢᲔᲮᲐᲡᲨᲘᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲛ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲘ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲛᲬᲕᲐᲕᲔᲓ ᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲡ. ᲢᲔᲮᲐᲡᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐᲓ ᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲐᲜᲢᲘᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲤᲣᲡᲓᲐ. ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ. ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲨᲘᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲐᲓ ᲩᲗᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲢᲧᲓᲐ ᲒᲐᲜᲒᲐᲨᲘ?

ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲐᲨᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲢᲣᲠᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛ 15-20 ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ ᲒᲐᲫᲜᲔᲚᲓᲔᲑᲐ, გამოძიების დასრულებამდე ყველა ციხეში მოხვდება და ვინც ვერ დაადასტურებს ლტოლვილად ჩაბარების საფუძველს, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის გასამართლებენ. არ სახელდება წყარო, თუ რას ეყრდნობა ასეთი ინფორმაცია.

ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲨᲔᲕᲐᲚᲗ? ᲓᲐ ᲕᲘᲡᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲤᲣᲚᲘ, ᲠᲐ ᲕᲘᲪᲜᲐᲗ? ᲓᲐ ᲕᲘᲜᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲖᲐᲨᲘᲐ, ᲘᲛᲐᲡ ᲠᲐ ᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ? ᲕᲘᲜᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲪᲘᲮᲔᲨᲘᲐ, ᲘᲛᲐᲗᲖᲔ ᲠᲐ ᲘᲡᲛᲘᲡ, ᲠᲝᲓᲔᲛᲓᲔ ᲒᲐᲐᲩᲔᲠᲔᲑᲔᲜ ᲘᲓᲔ? – ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲝᲛᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲛᲐᲗᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲨᲘ, ᲦᲘᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲨᲘ, ᲐᲗᲐᲡᲜᲐᲘᲠ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲡᲕᲐᲛᲔᲜ – ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲐᲗ ᲐᲓᲠᲔᲪ ᲡᲛᲔᲜᲘᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲐ.

ვირუსულად გავრცელებულმა ინფორმაციამ თავსატეხი გაუჩინა „გადამყვანებს“, რომლებიც მიგრანტებს მექსიკის გავლით აშშ-ში მოხვედრაში 8500 დოლარად (ყველაზე ხშირად დასახელებული საფასური) ეხმარებიან. რეგულაციების გამკაცრებასთან დაკავშირებული მოლოდინი მათ კლიენტების დაკარგვის საფრთხესაც უქმნის.

ზოგიერთები იმასაც ამბობენ, რომ დეზინფორმაციის გავრცელება არაკეთილსინდისიერ კონკურენციას ემსახურება.

„გადამყვანები“ ცდილობენ დაარწმუნონ მიგრაციის მსურველები, რომ ამ ეტაპისთვის არაფერი იცვლება და პროცესი ისეთივე ალგორითმით მუშაობს, როგორც უწინ:

- **ზოგს გაუმართლებს – აღრიცხავენ და სწრაფად უშვებენ თავისუფლად და თანაც ისე, რომ ინტერვიუსაც არ უტარებენ;**
- **ზოგს არ უმართლებს – შესაძლოა, თვეების განმავლობაშიც კი მოუწიოს საემიგრაციო საპატიმროში ყოფნა, საქმეების განხილვამდე და შემდეგ, შესაძლოა, პირდაპირ დეპორტაციას დაექვემდებაროს.**

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲢᲨᲘ?

ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲛᲐ �გრეგ ᲐᲑᲝᲢᲛᲐ 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ, ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ ᲢᲔᲮᲐᲡᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ №4 (SB4), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲛᲙᲐᲪᲠ ᲖᲝᲛᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ:

- **ტეხასის შტატის სამართალდამცველები დააკავებენ მიგრანტებს და მოათავსებენ მათ ციხეში 6 თვით, ხოლო შემდეგ – სწრაფადვე გააბრუნებენ უკან;**
- **თუკი მიგრანტები შეეცდებიან და ვერ დაამტკიცებენ ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის საფუძველს, ისინი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მუხლით გასამართლდებიან;**
- **პირებს, რომლებიც არ შეასრულებენ სადეპორტაციო მოთხოვნას და თავიანთ ქვეყანაში არ დაბრუნდებიან, ელით ციხე 2-დან 20 წლამდე;**
- **უკანონო მიგრაციის ფაქტის გამეორების შემთხვევაში, პირს 20 წლამდე ციხე ემუქრება;**
- **ასევე მაღალი სასჯელი ემუქრება მათ, ვინც მიგრანტების ტეხასის შტატში შეპარებას შეეცდება.**

ამ კანონით, სამართალდამცველებს აქვთ უფლება, ადამიანები გააჩერონ ქუჩაშიც და მათ საბუთების წარდგენა სთხოვონ. თუკი პირს შესაბამისი საბუთები არა აქვს, საზღვრის უკანონოდ გადალახვის ბრალდება მასაც შეეხება და დეპორტაციას დაექვემდებარება.

ტეხასი ერთადერთი შტატია, სადაც მსგავსი კანონი შემოიღეს; თუმცა მას უკვე შეხვდა ფედერალური მთავრობის წინააღმდეგობა. იანვრის დასაწყისში, აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ მიმართა სასამართლოს ამ კანონის ანტიკონსტიტუციურად გამოცხადებისა და აკრძალვის მიზნით.

ტეხასში დამტკიცებულ კანონს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს – ადამიანის უფლებათა სფეროდან. ამ კანონის წინააღმდეგ დაიწყო არაერთი სასამართლო განხილვა. უფლებადამცველები შეახსენებენ მიგრანტებს, რომ აქვთ უფლება შეინარჩუნონ დუმილი.

- **მიგრანტთა გადამყვანი არაერთი პირის ინფორმაციით, მათ საქართველოს მოქალაქეები ტეხასის შტატში აღარ შეჰყავთ. როგორც ისინი ამბობენ, ამ მარშრუტით ადრე უფრო სარგებლობდნენ და განსაკუთრებით – კანადაში გადასვლის მსურველები.**
- **გადამყვანების ინფორმაციით, მიგრანტების მიმართ ამჟამად ყველაზე ლიბერალური მიდგომა კალიფორნიის შტატს აქვს; მანამდე კი – ასეთი რეპუტაციით არიზონა სარგებლობდა. შტატებს შორის, სადაც მიგრანტებს პრობლემები ექმნებათ, ასევე – ლუიზიანა სახელდება.**

ტეხასის შტატის რესპუბლიკელი გუბერნატორი მიგრანტებისთვის გზის ფიზიკურად გადაკეტვასაც ცდილობს. გრეგ აბოტმა მავთულხლართები გაავლო მექსიკის მოსაზღვრე ქალაქის (Eagle Pass) 48 კმ-იან მონაკვეთზე და სასაზღვრო პატრულს (ფედერალური სამსახური) ამ ბარიერების აღების საშუალებას არ აძლევდა. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება მავთულხლართების აღების სასარგებლოდ გამოიტანა; მაგრამ ეს გადაწყვეტილება გუბერნატორს ახალი ბარიერების გავლებას არ უკრძალავს და ის ამ პროცესს აგრძელებს.

4 თებერვალს გრეგ აბოტმა გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ის – სასაზღვრო კედლის აღმართვის შესახებ იუწყება. ტეხასის გუბერნატორი მწვავედ უპირისპირდება პრეზიდენტ ბაიდენს და მისგან საზღვრების სრულ დაცვას მოითხოვს.

როგორც ამერიკული მედია იტყობინება, ტეხასის შტატის გუბერნატორის ბრძოლას მხარდაჭერა გამოუცხადეს 20-ზე მეტი შტატის რესპუბლიკელმა გუბერნატორებმა; მათ შორის: სამხრეთ დაკოტის, ფლორიდის, ოკლაჰომის, ვირჯინიისა და ჯორჯიის შტატებიდან. ტეხასის გუბერნატორის წამოწყებას მხარს უჭერენ ორგანიზაციები და ცალკეული პირები სხვადასხვა შტატიდან.

ᲠᲐᲡ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ?

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 4 თებერვალს, გამოქვეყნდა ამერიკელი სენატორების მიერ შეთანხმებული ორპარტიული დოკუმენტი, ნაციონალური უსაფრთხოების საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მიგრაციის საკითხს მოიცავს.

ამ დოკუმენტს ჯერჯერობით მხოლოდ კანონპროექტის სახე და ბუნდოვანი მომავალი აქვს. მიგრაციასთან დაკავშირებული რეგულაციები უსაფრთხოებასთან დაკავშირებული უფრო ფართო საკანონმდებლო პაკეტის ნაწილია, რომელიც ასევე მოიცავს 61-მილიარდიან დახმარებას უკრაინისთვის.

ასევე მოიცავს მასშტაბურ დახმარებას ისრაელისთვის და ჰუმანიტარულ დახმარებას ღაზის სექტორისთვის. კანონპროექტი მოიცავს მთელ რიგ მკაცრ შეზღუდვებს აშშ-ის სამხრეთით ხმექსიკის მხრიდანჯ, რომელთა მსგავსიც მიგრანტების მიმართ ლოიალური აშშ-ისთვის აქამდე უცხო იყო.

ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ:

- **აშშ-ის მთავრობას შესაძლებლობა ექნება შეზღუდოს საზღვრის კვეთა, თუკი ერთი კვირის მანძილზე დღეში მიგრანტების რაოდენობა 4000-ს მიაღწევს;**
- **თუკი მიგრანტების რაოდენობა იქნება, მაშინ უსაფრთხოების დეპარტამენტს განაცხადების მიღების შეჩერების ვალდებულება ექნება;**
- **დაჩქარდება ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთა საქმეების შესწავლის პროცესი და სწრაფ დეპორტაციას დაექვემდებარება პირი, თუკი ვერ დააკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს;**
- **თვემდე შემცირდება საქმეების განხილვის ვადა, როცა ამჟამად მოქმედი პრაქტიკით, განხილვები 10 წლამდეც ჭიანურდებოდა.**

მიგრაციასთან დაკავშირებულ სადავო კანონპროექტზე თვეების განმავლობაში მუშაობდნენ სენატორები: დემოკრატი კრის მერფი, რესპუბლიკელი ჯეიმს ლანკფორდი და დამოუკიდებელი სენატორი კირსტენ სინემა.

სენატორმა სინემამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ახალი რეგულაციები პრაქტიკულად გამორიცხავს აშშ-ში იმ ადამიანების შეშვებას, ვინც ამას უკეთესი ცხოვრების ხიბლით ცდილობს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კანონპროექტი კანონადაც რომ იქცეს, მისი ამოქმედება სწრაფად ვერ მოხერხდება, რადგან დამატებითი ვალდებულებები დამატებით პერსონალს მოითხოვს, ხოლო მათი შერჩევა და მომზადება – დიდ დროს. კანონპროექტის დამტკიცება საეჭვოა.

დოკუმენტის შინაარსის გამო უკვე დიდი უკმაყოფილება გამოხატა წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა, რესპუბლიკელმა **მაიკ ჯონსონმა,** რომელიც აშშ-ის ექსპრეზიდენტის დონალდ ტრამპის თანამოაზრეა და ხშირად ლაპარაკობს მასთან კონსულტაციების შესახებაც.

„ეს კანონპროექტი იმაზე უარესია, ვიდრე მოველოდით და არც კი მიგვაახლოებს პრეზიდენტის მიერ შექმნილი სასაზღვრო კატასტროფის დასასრულთან. თუკი ეს კანონპროექტი მოხვდება წარმომადგენელთა პალატაში, ის მკვდარი იქნება მოსვლისთანავე“, – დაწერა **ჯონსონმა.**

დონალდ ტრამპის თანამოაზრე რესპუბლიკელებს მიგრანტებისთვის საზღვრის დახურვა სურთ და სენატში შეთანხმებულ კანონპროექტში ისინი ამგვარ პერსპექტივას ვერ ხედავენ.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი კანონპროექტს კონგრესი ისევ ჩააგდებს? ამ შეკითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს. ამით დაზარალდება უკრაინაც - დახმარების საკითხის კიდევ ერთხელ გადავადებით.

ექსპერტები ეჭვობენ, რომ ექსპრეზიდენტ ტრამპის მოკავშირე რესპუბლიკელები ასრულებენ მის წინასაარჩევნო სურვილს, რომ – მიგრაციის საკითხებზე კომპრომისი არ დაუშვან, რათა ამან პრეზიდენტ ბაიდენის სასარგებლოდ არ იმუშაოს.

როიტერსის მიერ ახლახან გამოქვეყნებული გამოკითხვის თანახმად, დეკემბრის შემდეგ – 17%-მდე გაიზარდა იმ ამერიკელების რიცხვი, ვინც მიგრაციას მთავარ პრობლემად თვლის. მიგრაციის პრობლემა მეორე ადგილზეა რესპონდენტების მიერ დასახელებულ მთავარ პრობლემებს შორის.

აშშ-ის პრეზიდენტი მოუწოდებს ამერიკელ კანონმდებლებს - მხარი დაუჭირონ ახალ რეგულაციებს. ჯო ბაიდენი განცხადებაში აღნიშნავს, რომ მიგრაციის პოლიტიკა გასაუმჯობესებელია; ხოლო ნაციონალური უსაფრთხოების შეთანხმება „მოიცავს ათწლეულების მანძილზე ყველაზე მკაცრ და სამართლიან რეფორმებს“.

ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲜᲭᲣᲚᲘᲐ,
„რადიო თავისუფლების“
ჟურნალისტი

ტრაგიკულად დაიღუპნენ!

შემთხვევას „იმედის“ ოპერატორიც ემსხვერპლა

„იმედში“ გლოვის დღეა. ჩვენი კოლეგა მიშო ბიძინაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა. მიშო უბედური შემთხვევის დროს პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა. ის საჰაერო ბურთში იმყოფებოდა, რომლითაც მფრინავებს ყველაზე დიდ მანძილზე ფრენაში მსოფლიო რეკორდის დამყარება სურდათ.

მიშო ბიძინაშვილი ტელეკომპანია „იმედში“ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა. „იმედის“ არქივს შემორჩა მისი არაერთი უნიკალური კადრი.

ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლები შეძრული ვართ დატრიალებული ტრაგედიით და ვუსამძიმრებთ მიშოს ოჯახსა და ახლობლებს.

უბედური შემთხვევა სოფელ ასურეთის მიმდებარედ მოხდა. დაღუპულთა შორის არის ხომალდის მეთაური და პირველი მფრინავი, საქართველოს სამგზის რეკორდსმენი, 19-წლიანი სტაჟის მქონე რევაზ უთურგაური. ის ასევე „სქაი თრეველის“ დამფუძნებელი და დირექტორი იყო.

ასევე დაღუპულია ფრენის 13-წლიანი გამოცდილების მქონე პოლონელი ჰაერნაოსანი კშიშტოფ ზააპარტი. საჰაერო ბურთით ფრენაში ზააპარტი მსოფლიოში მეორე ადგილზე იყო. მას 3 500 კილომეტრზე მეტი ჰქონდა ნაფრენი.

წინასწარი ინფორმაციით, საჰაერო ბურთი ელექტროგადამცემ ბოძს შეეჯახა, რამაც კატასტროფა გამოიწვია.

„სრ“-ის რედაქცია თანაუგრძნობს ტრაგიკულად დაღუპულთა ოჯახებს.

ბაღდათის საირმესთან დამაკავშირებელი გზა სრულად გაწმენდილია!

ბაღდათის კურორტ საირმესთან დამაკავშირებელი გზა, რომელზეც მეწყერი ჩამოწვა, სრულად გაწმენდილია. სამაშველო სამუშაოები მდინარე ხანისწყლის ორივე ნაპირზე გრძელდებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველების მიერ, განხორციელებული ინტენსიური ძებნა-შველის ღონისძიების შედეგად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთში, მეწყერში მოყოლილი ყველა ცხედარი ნაპოვნია. ამის შესახებ ინფორმაციას შსს-ის პრესსამსახური ავრცელებს.



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 200-ზე მეტი მაშველი, სტიქიის ეპიცენტრში, შესაბამისი აღჭურვილობით, ტექნიკით, მცურავი საშუალებებით და დრონებით უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდა სამძებრო სამუშაოებს. ძებნა-შველის ღონისძიებაში ჩართული იყო კინოლოგთა ჯგუფი. სამაშველო ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, იოსებ ჭელიძე და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი, თემურ მღებრიშვილი ხელმძღვანელობდნენ.

მეწყერი ქვიშხეთშიც გააქტიურდა, მიმდინარეობს ევაკუაცია

მოსახლეობის ევაკუაცია მიმდინარეობს სურამიდან და ქვიშხეთიდან, სადაც დასახლებულ პუნქტებში მიწის მასა ჩამოწვა. მეწყრული პროცესები შიდა ქართლში დილიდან გააქტიურდა.

ქვიშხეთში მთის მასა იმ ადგილას ჩამოწვა, სადაც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს, განსაკუთრებულად სახიფათო ვითარებაში აღმოჩნდა 2 ოჯახი. დაზიანდა სახლები, დაშავებული არავინაა. სახელმწიფო უწყებების ინფორმაციით, ადგილზე მუშაობას გეოლოგები დაიწყებენ და სწორედ მათი დასკვნის შემდეგ გახდება ცნობილი, დაუბრუნდებიან თუ არა ევაკუირებული ოჯახები საცხოვრებელ ადგილებს.

გაცილებით რთული მდგომარეობაა სურამში, სადაც მეწყრული პროცესები ზინდისის დასახლებაში განვითარდა. ამ დროისათვის 40 ოჯახია ევაკუირებული. ადგილობრივების ინფორმაციით, მიმდებარე ტერიტორიაზე წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მშენებლობები. ადგლზე უკვე მუშაობენ გეოლოგები.

ხულოში ევაკუირებულია 35 ოჯახი

ფაჩხის წყალი დააგუბა მეწყერმა და მოდის მდინარისკენ. დიდი მასაა ჩამოწოლილი – ინფორმაციას და ვიდეოკადრებს ამის შესახებ სოციალურ ქსელში ადგილობრივი ნუგზარ გორგილაძე ავრცელებს.

ხულოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, ინფორმაციას ავრცელებს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაც. თვითმმართველობის ინფორმაციით, მეწყრული პროცესები ღამის 2 საათიდან დაიწყო და ევაკუირებულია 35 ოჯახი. დაშავებული არავინაა.

დეიდას ბინის გადაფორმებას აიძულებდა...

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ლეონიძის ქუჩაზე, 40 წლამდე კაცმა დეიდას სცემა. არსებული ინფორმაციით, ქალსა და მის დისშვილს შორის შელაპარაკება ბინის საკითხზე დაიწყო. კაცს სურდა, რომ დეიდას ბინა მისთვის გადაეფორმებინა, რაზეც ქალმა უარი განაცხადა.

ფიზიკური დაპირისპირების გამო კაცი ბრალდებულის სახით დააკავეს. თუმცა ციხიდან გამოსვლის შემდეგ კაცმა შემაკავებელი ორდერის პირობები დაარღვია და კიდევ მივიდა დეიდასთან. ქალმა სამართალდამცავებს მიმართა, რის გამოც მისი დისშვილი მეორედ დააკავეს.

დაიჭირეს ირანელი ნარკომოვაჭრე

პროკურატურის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, საქართველოში უკანონოდ შემოტანასა და ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვაში ბრალდებულ ირანის მოქალაქეს 18 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

გამოძიების ცნობით, ირანის მოქალაქემ 2023 წელს საქართველოში უკანონოდ შემოიტანა 77,175 კგ. ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ნივთიერება, რომლის გადაზიდვასაც ბულგარეთის მიმართულებით ახორციელებდა.

ამასთან ერთად, პროკურატურის ცნობით, ბრალდებული დაკავებისას ნარკოტიკულ საშუალება – „ბუპრენორფინის“ შემცველ აბებს პირადად ინახავდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, საქართველოში უკანონოდ შემოტანასა და ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვაში ბრალდებული პირი დამნაშავედ ცნო.

გამოავლინეს უკანონო სახერხი საამქროები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, უკანონო ტყითსარგებლობასთან ბრძოლის ფარგლებში, იანვრის თვეში, აჭარასა და სამეგრელოში 3 უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გესელაშვილებში (კლდისუბანი), მოქალაქეს სპეციალურად მოწყობილ შენობა-ნაგებობაში ლენტური ტიპის სახერხი საამქრო უკანონოდ ჰქონდა მოწყობილი.

2 არარეგისტრირებული სახერხი საამქრო გამოვლენილია სამეგრელოში. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოსა და აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ წყემში, მოქალაქეებს ცირკული ტიპის სახერხი დანადგარები საცხოვრებელი სახლების ეზოებში ჰქონდათ მოწყობილი.

ვინაიდან სამივე ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

ფერმერთა პროტესტი... ევროპულად

ევროპაში ფერმერების გუნდია. საპროტესტო ტალღა გერმანიას, საფრანგეთს, პოლონეთსა და რუმინეთს მოედო. ვარაუდობენ, რომ ტალღა იტალიასა და ესპანეთსაც მისწვდება. პროტესტი ყველაზე მეტად გერმანიასა და საფრანგეთში იგრძნობა. გერმანელმა ფერმერებმა აქციები 2023 წლის ბოლოს დაიწყეს, ცოტა ხნით შეჩერდნენ და, ნაახალწლევს, კვლავ განაახლეს, ტრაქტორებითა და სატვირთო ავტომანქანებით საავტომობილო გზები გადაკეტეს და სამგზავრო ბორანზე, ვიცე-კანცლერი რობერტ-ჰაბეკი დაბლოკეს, რომელიც შვებულებიდან ბრუნდებოდა. აქციის დასაშლელად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

20 იანვარს, ბერლინში, გერმანელმა ფერმერებმა დიდი მიტინგი ჩაატარეს. დემონსტრანტებმა ბერლინის ქუჩებში, ტრაქტორებით მსვლელობა გამართეს. აქციის მონაწილეებს პლაკატები ეჭირათ ხელში, წარწერებით: ფერმერები კორპორატიულ ინტერესებზე მაღლა დგანან, მიწა ფერმერებს ეკუთვნის. ხანგრძლივი მასობრივი საპროტესტო ტალღაა საფრანგეთშიც. ფერმერთა პროტესტმა მთელი საფრანგეთი მოიცვა. ისინი პარიზს ალყით დაემუქრნენ, ძირითადი ქუჩები და მაგისტრალები გადაკეტეს და პარიზისკენ გაემართნენ. დემონსტრანტებმა ტრაქტორებზე პლაკატები გამოფინეს წარწერებით: ჩვენი დასასრული თქვენს შიმშილს ნიშნავს, ფერმერების გარეშე სურსათი არ იქნება. პარიზში, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, 15 ათასამდე პოლიციელია მობილიზებული. ქვეყნიდან ქვეყნამდე, პროტესტი სხვადასხვაგვარია, მაგრამ საერთო წუხილიც აქვთ. ევროპელი ფერმერები უკმაყოფილო არიან ორი მთავარი მიზეზით: ევროპაში იაფი უკრაინული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მოზღვავდა და, ევროკავშირის გადაწყვეტილებით, მთელმა ევროპამ კურსი მწვანე ენერგიაზე აიღო. შესაბამისად, მომატებული ბეგარის გამო, საწვავზე ფასები გაზარდა. ევროპას ნამდვილად ვერ გააკვირვებ გაფიცვებითა და პროტესტებით. ეს, უბრალოდ, ევროპელთა ცხოვრების წესად იქცა. წელი არ ჩაივლის ისე, რომ მრეწველობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები არ გაიფიცონ.

პროტესტების მიზეზი ცნობილია: გლობალიზაციის გამო, აზიაში გადატანილი საწარმოები, მაგრამ, წლევანდელი პროტესტი იმითაა განსხვავებული, რომ მისი ტალღა, თითქმის მთელს ევროპას მოედო. ფერმერთა მოთხოვნები, ძირითადად, ყველგან იდენტურია. ევროპელი პოლიტიკოსები ამ საერთო პროტესტით დაბნეულნი და შეშინებულნი არიან, რადგან, არ იციან, რა მოიმოქმედონ. ბოლო დროს ყველა პრობლემამ ერთად იჩინა თავი: უკრაინის ომი, მის გამო გამოწვეული ენერგოკრიზისი და რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები, რამაც, ევროპაში ინფლაცია და ფასები გაზარდა. ამას ემატება ისიც, რომ ევროკავშირი უარს არ ამბობს მწვანე პოლიტიკის გატარებაზე, რაც კიდევ უფრო მძიმედ დააწვა ქვეყნების ბიუჯეტს. ევროპელი პოლიტიკოსები შეშინებულნი არიან, რადგან, პროტესტებს მხარს ულტრა-მემარჯვენეები უჭერენ. მთელს ევროპაში, ბრიუსელის არასწორი მიგრაციული პოლიტიკის გამო, ულტრა-მემარჯვენეთა აღზევება შეინიშნება. ფერმერთა მიმდინარე პროტესტიც ულტრა-მემარჯვენე ხასიათისაა, რის გამოც, ბევრი ევროპელი პოლიტიკოსისთვის, ეს კოშმარის დაწყებას ნიშნავს, რადგან, მალე, ევროპარლამენტის არჩევნებია და, თუ ასე გაგრძელდა, ევროპარლამენტში, პირველ ადგილს ულტრა-მემარჯვენეები დაიკავებენ. მოსალოდნელი კოშმარიდან თავის დაღწევის მხოლოდ ერთი გზა არსებობს: სოფლის მეურნეობის სექტორისთვის დახმარების გაზრდა. თუ არადა, ევროპელი ფერმერები გაკოტრების პირას მივლენ.

კომპეტენტურ ექსპერტთა რეკომენდაციით, ევროპის ქვეყნების მთავრობებმა მოსახლეობის ჩივილს უნდა მოუსმინონ და დაეხმარონ მათ. პოლიტიკოსები კი, თავს იყრუებენ და იბრმავებენ. უკრაინისთვის იარაღის მიწოდების გამო, ისედაც, დიდ ხარჯში არიან გადავარდნილნი და იმიტომ! ფერმერებს, როგორც დაბალ ღობეს, ისე უყურებენ და ვერ იაზრებენ, რომ ფერმერთა პროტესტმა, შეიძლება, მთელ ევროპაში გამოიწვიოს კრიზისი. პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ, შესაძლოა, ევროპის უსაფრთხოება ეჭვის ქვეშ დადგეს.

ჯეფრი ეპშტეინის საქმე ბურუსითაა მოცული...



რამდენიმე წელია, ამერიკაში, მდიდარი ფინანსისტის, ჯეფრი ეპშტეინის სახელთან დაკავშირებული სკანდალები არ ცხრება, რომელიც, 2019 წელს, ბავშვთა ტრეფიკინგისა და სექსუალური ძალადობისთვის ციხეში მოხვდა. დაპატიმრებიდან, ცოტა ხნის შემდეგ, ეპშტეინი საკანში მკვდარი იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, მან თავი მოიკლა, მაგრამ ამერიკელთა უმრავლესობას არ სჯერა, რომ ეს თვითმკვლელობა იყო. ეპშტეინის ოჯახის წევრები, დღემდე, ითხოვენ საქმის ბოლომდე გამოძიებას, მაგრამ, ამაოდ. რას არ გაიგონებთ ამერიკაში ეპშტეინის საქმესთან დაკავშირებთ! ამბობენ იმასაც, რომ ეპშტეინის სექსუალურ ტრეფიკინგში, სხვა გავლენიანი პირებიც მონაწილეობდნენ, მაგალითად, მისი გერლფრენდი, მდიდარი ბანოვანი, გისლეინ მაქსველი, რომელიც ამჟამად პატიმრობაშია.

ეპშტეინის საქმე ბურსითაა მოცული, თითქოს, განგებაა გასაიდუმლოებული. ხალხი კი, მის გასაჯაროებას ითხოვს. ბოლოს და ბოლოს, სისტემამ ვერ გაუძლო საზოგადოების ზეწოლას და იმ პირთა სია გამოაქვეყნა, ვისთანაც ეპშტეინს ჰქონდა ურთიერთობა. სიაში, ბრიტანეთის პრინცი ენდრიუ, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტები ბილ კლინტონი და დონალდ ტრამპი, მეგავარსკვლავები, მაიკლ ჯექსონი და ლეონარდო დი კაპრიო, ილუზიონისტი, დეივიდ კოპერფილდი და სხვები მოხვდნენ, თუმცა, ყველა მათგანი არ ყოფილა არასრულწლოვანი გოგონების მიმწოდებლის კლიენტი.

ზოგი, ეპშტეინის საქმეში, მოხსენიებულია, როგორც შემთხვევითი მოწმე, რომელიც, ერთ დროს, ფინანსისტის სასახლეს სტუმრობდა.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ეპშტეინი დიდი ხნის წინ იყო შემჩნეული სექსუალურ ტრეფიკინგში, მაგრამ მას ყოველთვის ხელს აფარებდნენ. ეპშტეინი არაერთხელ ყოფილა დაკავებული მოზარდთა პროსტიტუციის გამო. 2008 წელს, ფინანსისტს, ასეთი საქმის ორგანიზებისთვის, 18-თვიანი პატიმრობა მიესაჯა, თუმცა, განცხრომით იხდიდა სასჯელს პალმ-ბიჩის ციხის კერძო საკანში. ერთ-ერთმა დაზარალებულმა, მარია ფარმერმა, ბრიტანულ გამოცემა „ინდეპენდენტს“ ინტერვიუ მისცა, რომელშიც FBI-ის ბრალს სდებს იმაში, რომ მან ეპშტეინის წინააღმდეგ, 1996 წელს შეიტანა საჩივარი, მაგრამ, გამოძიებას 20 წელზე მეტი დასჭირდა. ასეთივე ეჭვს იწვევს ის, რომ დღემდე გასაიდუმლოებულია თუ ვინ მონაწილეობდა ეპშტეინის კერძო კუნძულზე სექსუალურ ორგიებში, სადაც ის ამერიკის ბიზნეს და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს იწვევდა ხოლმე. სავარაუდოა, რომ ბევრმა მათგანმა არც კი იცოდა სექსუალური ორგიების შესახებ, მაგრამ, როგორც ზოგიერთი მოწმე ადასტურებს, ორგიებში ცნობილი პირებიც იყვნენ ჩაბმული, მაგალითად, ბილ კლინტონი. ეს ამბავი მართალია თუ არა, ძნელი სათქმელია, რადგან საქმის ეს ნაწილი ისევ გასაიდუმლოებულია.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ტაკერ კარლსონი: დასავლური მედია კორუმპირებულია და ატყუებს მთელ მსოფლიოს...



ამერიკელი ჟურნალისტი ტაკერ კარლსონი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან ინტერვიუს ჩასაწერად მოსკოვში იმყოფება. ის ამ გადაწყვეტილების გამო აშშ-ში კრიტიკის ობიექტი გახდა. ჟურნალისტი X-ზე აქვეყნებს ვიდეოს, სადაც განმარტავს იმ მიზეზებს, რის გამოც რუსეთის პრეზიდენტთან ინტერვიუ მიზანშეწონილად მიიჩნია.

ჟურნალისტი ამბობს, რომ ასეთი ინტერვიუ სარისკო იყო, მაგრამ ამის გაკეთება გადაწყვიტა, რადგან პირველ რიგში, ეს მისი საქმეა და მსოფლიოს ინფორმირება მისი მოვალეობაა. კარლსონის თქმით, უკრაინის ომიდან ორი წლის შემდეგ ამერიკელთა უმეტესობას წარმოდგენა არა აქვს, რატომ ხდება ეს, ან რა ხდება რეგიონში. მისივე თქმით, უკრაინის ომმა მსოფლიო ბალანსში სერიოზული ცვლილებები და გლობალური გეოპოლიტიკური ლანდშაფტის რესტრუქტურიზაცია გამოიწვია. დოლარის კურსის შესუსტება კი ამ ცვლილებების ერთ-ერთი შედეგია. დასავლური მედია, კარლსონის მტკიცებით, კორუმპირებულია და ატყუებს მთელ მსოფლიოს. ამერიკელთა უმეტესობას კი წარმოდგენა არა აქვს, რატომ შეიჭრა პუტინი უკრაინაში ან რა გეგმები აქვს.

ანჯეი დუდას ტრამპისა სჯერა...

ჟურნალისტებმა, რუანდაში ვიზიტით მყოფ პოლონეთის პრეზიდენტს **ანჯეი დუდას** კითხვა დაუსვეს დონალდ ტრამპის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ „აშშ-ის პრეზიდენტი თუ კვლავ გახდება, ის უკრაინაში მიმდინარე ომს 24 საათში დაასრულებს“.

„ჩემი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორც პრეზიდენტმა, რომელიც მუშაობდა პრეზიდენტ ტრამპთან, შემიძლია ვთქვა, რომ ის, რისი პირობაც მან მომცა, შესრულდა. მე თუ მივიღე რამე დაპირება ტრამპისგან, ეს ყველაფერი შესრულდა“, – განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა. ამასთან, დუდამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ტრამპი ყველაფერში სერიოზულია, რასაც ამბობს“.

რესპუბლიკელებმა კანონპროექტი ისევ ჩააგდეს

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გააკრიტიკა რესპუბლიკელები კონგრესში მას შემდეგ, რაც სენატმა დაბლოკა კანონპროექტი, რომელიც მოიცავდა საზღვრის უსაფრთხოებას, უკრაინისა და ისრაელის დახმარებას.

„არასდროს მეგონა, რომ ვნახავდი იმას, რასაც ახლა ვხედავთ“, – აღნიშნა ბაიდენმა. აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, დონალდ ტრამპი ემუქრებოდა კანონმდებლებს „შურისძიებით“, თუ ისინი მხარს დაუჭერდნენ კანონპროექტს. შეგახსენებთ, აშშ-ის სენატმა ჩააგდო 118 მილიარდი დოლარის ღირებულების საზღვრის უსაფრთხოების კანონპროექტი, რომელიც ასევე ითვალისწინებდა 60 მილიარდზე მეტ დახმარებას უკრაინისთვის და 14 მილიარდზე მეტი ღირებულების დახმარებას ისრაელისთვის.

აშშ-ის ახალი აგრესია ერაყში

ერაყმა გააფრთხილა აშშ ბაღდადში განხორციელებული საჰაერო თავდასხმის გამო, რომლის დროსაც „კატაიბ ჰეზბოლას“ მეთაური დაიღუპა.

ერაყის ერთობლივი ოპერაციების სარდლობამ თავდასხმას „აშშ-ის ახალი აგრესია“ უწოდა და აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი ერაყსა და აშშ-ს შორის ყველა სახის ურთიერთგაგებას ძირს უთხრის.

ერაყის ერთობლივი ოპერაციების სარდლობის სპიკერმა, თაჰსინ ალ ხაფაჯიმ აღნიშნა, რომ ეს ერაყის სუვერენიტეტის დარღვევაა. შეგახსენებთ, აშშ-ის ცენტრალურ სარდლობაში განაცხადეს, რომ აშშ-ის დარტყმის შედეგად ერაყის დედაქალაქ ბაღდადში „კატაიბ ჰეზბოლას“ მეთაური მოკლეს, რომელიც პასუხისმგებელი იყო რეგიონში ამერიკულ ძალებზე თავდასხმებზე.



ორმილიარდიანი ბიუჯეტით თბილისი მრავალ სოციალურ პრობლემას მოაგვარებს

7 თებერვალს თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა ბოლო ხანს საქართველოში მომხდარი ტრაგედიების გამო და მაღალი მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთში მეწყრის ჩამოწოლის შედეგად გარდაცვლილების ოჯახებსა და ახლობლებს სამძიმარი გამოუცხადა.

დედაქალაქის მერმა მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თბილისის ბიუჯეტის მოცულობა, გარდამავალი ნაშთების ჩათვლით, ორ მილიარდ ლარს მიაღწევს.

„თბილისის 2024 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი დღეს მთავრობის სხდომაზე განიხილება და შემდეგ დასამტკიცებლად დედაქალაქის საკრებულოს წარედგინება. ბიუჯეტში აისახება გარდამავალი ნაშთები, რომელიც შედგება ძირითადად გადაჭარბებული შემოსავლებისგან. ასევე, გარკვეული კომპონენტი გარდამავალ პროექტებზე გადმოყოლილი თანხებია. 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი 1 763 000 000 ლარს შეადგენდა, ცვლილებების შედეგად კი ორ მლრდ ლარს მიაღწევს“.

თბილისის მერმა კიდევ ერთხელ ისაუბრა იმ მნიშვნელოვან მუნიციპალურ პროექტებზე, რომლებიც მიმდინარე წელს სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდება.

„ვიწყებთ პროცედურებს, რომ წელს დამატებით შევისყიდოთ 40 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი. ჩვენ თავიდან 200 ერთეულის შეძენა გვინდოდა, თუმცა საკმარისი თანხა არ გვქონდა და მხოლოდ 160 ერთეული შევიძინეთ; ჯანდაცვის სამსახურში, სხვადასხვა სოციალური პროგრამებისთვის გამოიყოფა 4 300 000 ლარი; ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურს ემატება, დაახლოებით, 17 მლნ ლარი სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტის განსახორციელებლად. მათ შორის, არის მუხიანის აგარაკებზე წყალარინების ქსელის მოწყობის პროექტი და სამგორში, გახოკიძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული ქუჩა უმძიმეს მდგომარეობაშია, მიწისქვეშა კომუნიკაციები და საავტომობილო გზა განადგურებულია. გვინდა, ეს ყველაფერი მოვაწესრიგოთ.

გარდა ამისა, გარემოს დაცვის სამსახურს 36 მლნ ლარი ემატება. აქედან 10 მლნ ლარი გათვალისწინებულია ვაკის პარკისთვის, ე.წ. სამხედრო ქალაქში ახალი პარკის მოსაწყობად – 6 მლნ ლარი, ვერის ბაღის რეაბილიტაციისთვის – 10 მლნ ლარი, გლდანის ტბისთვის – 5 მლნ ლარი. ასევე, დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა სკვერისა და რეკრეაციული სივრცის მოწესრიგება“.

მიმდინარე წელს რაიონულ გამგეობებს სხვადასხვა პროექტის განხორციელებისთვის, ჯამში, 13 მლნ ლარი დაემატება.

„კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით გამოიყოფა 19 მლნ ლარი, საიდანაც 13,5 მლნ ლარი ბაგა-ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოებს მოხმარდება, ხოლო 5 მლნ ლარი – დიღმის მასივში სპორტკომპლექსის მშენებლობის სამუშაოებს. „თბილსერვის ჯგუფს“ ეძლევა, დაახლოებით, 37 მლნ ლარი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის. მათ შორის, ნაგავშემკრები კონტეინერებისა და დამატებითი სპეცტექნიკის შესასყიდად“.

დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომაზე ასევე განაცხადა, რომ თბილისის მერიის „აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა ამბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში, მარტიდან მომსახურებას დამატებით 250 ბავშვი და მოზარდი მიიღებს.

„ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პროგრამის ფარგლებში, დღეისთვის, მომსახურებას 18 წლამდე ასაკის 1 850 ბავშვი და მოზარდი იღებს, მარტიდან კი მათი რიცხვი 2 100 გახდება. პარალელურად, პროგრამის ბიუჯეტი, დაახლოებით, 1 350 000 ლარით გაიზრდება. თბილისის მერიის ვაუჩერის ღირებულება ერთი ბენეფიციარისთვის წელიწადში 5 400 ლარია“.

თბილისის მერის თქმით, აღნიშნულ პროგრამას, სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებაც ემატება და პროგრამას, ჯამში, 10 ცენტრი მოემსახურება. გარდა ამისა, მთავრობის დღევანდელ სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისში 1 იანვრიდან ამოქმედდა შეზღუდვა, რაც სამუშაო დღეებში, დილასა და საღამოს, პიკის საათებში გარკვეული კატეგორიის დიდგაბარიტიანი სატვირთო ავტომანქანების გადაადგილებას ეხება. თბილისის მერის განცხადებით, დადგენილია ის არეალები, სადაც ეს შეზღუდვები მოქმედებს. ასევე, განსაზღვრულია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის შესაბამისი გამონაკლისები.

„არსებობს არეალები, სადაც ეს შეზღუდვები მოქმედებს და დადგენილია შესაბამისი გამონაკლისები აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის – ეს არის სპეცტექნიკა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სასწრაფო დახმარების ავტომანქანები, ავარიულ ვითარებაში და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროს სხვადასხვა ტექნიკა, ასევე, ტურისტული სატრანსპორტო საშუალებები. სხვა დანარჩენზე მოქმედებს შეზღუდვა 08:00-დან 11:00 საათამდე და 17:00-დან 20:00 საათამდე“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

აკრძალულ ზონაში, შეზღუდვის საათებში გადაადგილება 1 000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს. პირველი იანვრიდან ასევე ამოქმედდა წესი, რომლის მიხედვითაც, საავტობუსო ზოლში სასკოლო ტრანსპორტის გადაადგილებაა დასაშვები. აღნიშნული ცვლილებები სკოლების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად შემუშავდა.

კახა კალაძის განცხადებით, მითითებული წესის გამოყენება შეეძლებათ როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლების წარმომადგენლებს.

„აღნიშნული წესის შესაბამისად, კერძო თუ საჯარო სკოლას შეუძლია, მიმართოს მუნიციპალიტეტს, მიაწოდოს ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებების, მათი რაოდენობისა და მიმართულებების შესახებ, შეათანხმოს სატრანსპორტო საშუალებების ვიზუალი. ამის შემდეგ, მათ შეეძლებათ, უზრუნველყონ სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. არ დავიწყებ ახსნას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პატარების უსაფრთხოება, მათი გადაადგილება, რათა დილისა და საღამოს საათებში საცობებში არ იდგნენ. იაქტიურეთ, მოგვმართეთ და ჩვენ ყველანაირად დაგეხმარებით, რომ იმ სატრანსპორტო საშუალებების სანომრე ნიშნები შევითანხმოთ, რომლითაც პატარები გადაადგილდებიან, დავარეგისტრიროთ და ავტობუსის ზოლების გამოყენება შეძლოთ“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

თბილისის მერმა ასევე აღნიშნა, რომ დედაქალაქს ნევროლოგიის ფუძემდებლის, აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილის ბიუსტი დაუბრუნდება. შესაბამისი ღონისძიებების გატარება კახა კალაძემ თავის მოადგილეს ანდრია გასილაიას დაავალა.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ირაკლი დვალის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ირაკლი დვალი (პ/ნ 01006007616), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ.№7, სართ. 3, ბინა №22 (საკადასტრო კოდი: 01.13.04.007.012.01.022).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 208819.68 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 8 თებერვალი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 22 თებერვალი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP95999424; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 959994

6. **მოვალე:** ირაკლი დვალი (პ/ნ 01006007616), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22;

შპს „მანავის ფერმა“ (ს/ნ 402195655), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22;

თარაშ დვალი (პ/ნ 01005040965), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95999424; ლოტის ნომერი: 959994).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 22 თებერვლის 12:00 საათამდე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -

შპს „მემული ჰესის“ მიერ მესტიის მუნიციპალიტეტში მდ. ცხვანდირზე 11.01 მგვტ დადგმული სიმძლავრის მემული ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 11.01 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „მემული ჰესი“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მესტიის მუნიციპალიტეტი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 20 მარტი, 16:00 საათი, მესტიის მუნიციპალიტეტი, ჭუბერის თემი, სოფ. ყარის ყარ-სგურიშის საჯარო სკოლის შენობა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **4 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი იდრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 12-ე მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა 2024 წლის **31 იანვარს.** აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

◎ ხვალ ავჭალაზე

მერვედ ტიტეგთან

გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნებული მორჯოლოსნები „შევარდენის“ სანაკრებო გაზაზე 2024 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩისთვის ემზადებიან.

საქართველო წლის პირველ საშინაო შეხვედრას ხვალ თბილისში, „ავჭალაზე“, ნიდერლანდების წინააღმდეგ გამართავს. თამაში 14 საათზე დაიწყება.

მორჯოლოსნებს ნიდერლანდების წინააღმდეგ აქამდე 7-ჯერ უთამაშიათ. პირველად მათ ფირას ეგიდით, 1995 წელს გადავეყარეთ. ეს იყო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი პირველი გასვლა ევროპაში და საქართველო 30-ე წუთისთვის 3:0 იგებდა, თუმცა მერე 9 უპასუხო ლელო გაუშვა – 3:55. ეს იყო ერთადერთი მარცხი ნიდერლანდებთან, მას შემდეგ კი მეტოქეს მუდამ უშანსოდ ვამარცხებდით.

2000-2002 წლებში ნიდერლანდებს ერთა თასზე სამჯერ ვერკინეთ და სამივეჯერ ისე მოვიგეთ, ლელო არ გაგვიშვია (41:6, 32:3 და 88:0). ამის შემდეგ მეტოქე დაქვეითდა და რაგბი ევროპის ელიტას 2021 წელსღა დაუბრუნდა. ბოლო სამ თამაშში ის ახერხებდა ლელოს გატანას, მაგრამ გამარჯვებული მუდამ საქართველო რჩებოდა (48:15, 72:10 და 40:8). ჯამში ნიდერლანდებთან მოვიგეთ 6 და დავთმეთ ერთი შეხვედრა. გავიტანეთ 51 ლელო და 324 ქულა, მეტოქემ კი 13 ლელო და 97 ქულა მოიხვეჭა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ნიდერლანდები პროგრესირებს – 2023 წელს სამი თამაში მოიგო (ორი გერმანიასთან, ერთი ბელგიასთან) და ჩემპიონატი მე-5 ადგილზე დაასრულა. 2024 წლის პირველ მატჩში მან ამსტერდამში ესპანეთს უმასპინძლა და მხოლოდ ერთი გარდასახვით ჩამორჩა – 18:20.

დესაუში გერმანიასთან 28:17 გამარჯვების შემდეგ ცვლილებებია ბორჯოლოსანთა გაფართოებულ რაზმში. შეკრება დატოვეს ბურჯებმა გიორგი ქართველიშვილმა და გიორგი ჩხარტიშვილმა, ასევე 9 ნომერმა გიორგი მარგალიტაძემ. გუნდს დაემატნენ ბურჯები ბექა გიგაშვილი და სანდრო ქუნთელია, მესამეხაზელი ბექა გორგაძე, 9 ნომერი თენგიზ პერანიძე და ფრთა ლუკა ხორბალაძე. ხუთი მოთამაშიდან ორი გამოცდილია – გიგაშვილი (40 კეპი) და გორგაძე (42), ორს მწირი გამოცდილება აქვს – ქუნთელია (2) და პერანიძე (1), ხორბალაძე კი დებიუტანტია.

◎ მომავალი თაობა

უკეთ, ვიდრე შარშან!

უმცროსი მორჯოლოსნები 2024 წლის მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატში B ჯგუფში, ირლანდიის, ავსტრალიისა და იტალიის წინააღმდეგ ითამაშებენ.

ტურნირს 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით სამხრეთ აფრიკა – სტელენბოში და ქეიფთაუნი უმასპინძლებს.

20-წლამდელთა ჩემპიონატს შარშანაც სამხრეთ აფრიკამ უმასპინძლა და იქ საქართველომ აქამდე საუკეთესო შედეგი აჩვენა – მე-8 ადგილი. ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი მომავალი მეტოქეებიდან შარშან ირლანდიამ ფინალი ითამაშა და იქ ზედიზედ სამგზის ჩემპიონ საფრანგეთთან დამარცხდა, ავსტრალიამ მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო იტალიამ გასავარდნი შეხვედრა მოიგო და მე-11 პოზიციას დასჯერდა.

2024 წლის ჩემპიონატში ა ჯგუფში საფრანგეთი, უელსი, ახალი ზელანდია და ესპანეთი, ხოლო გ ჯგუფში სამხრეთ აფრიკა, ინგლისი, არგენტინა და ფიჯი მოხვდნენ.

ჯგუფური ეტაპის შეხვედრები 29 ივნისს, 4 და 9 ივლისს გაიმართება – სამივე ჯგუფის გამარჯვებული და საუკეთესო მეორეადგილოსანი თასის ნახევარფინალში გადის; ორი მეორეადგილოსანი და ორიც საუკეთესო მესამეადგილოსანი მე-5-მე-8 ადგილებისთვის აგრძელებს ბრძოლას; ხოლო დანარჩენი ოთხი გუნდი მე-9-მე-12 ადგილებს გაითამაშებს.

ბოლო ადგილზე გასული 2025 წელს ალაფაზე დაქვეითდება, მის ადგილს კი 2024 წლის ალაფის გამარჯვებული დაიკავებს, რომელსაც წელს 2-17 ივლისს შოტლანდია უმასპინძლებს. ნახევარფინალები 14, ხოლო ფინალები 19 ივლისსაა ჩანიშნული.

მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატი 2008 წლიდან იმართება. საქართველომ 2015 წელს ალაფა მოიგო და 2016 წელს გახდა პირველი გუნდი, რომელმაც 12-გუნდა ელიტაში ადგილი შეინარჩუნა. მას შემდეგ ის მუდამ ჩემპიონატის მონაწილეა და სამჯერ მე-10 ადგილზე გავიდა, ერთხელ მე-9-ზე, შარშან კი მე-8-ზე. 2020-2022 წლებში 20-წლამდელთა ჩემპიონატი კოვიდ-პანდემიის გამო არ ჩატარდა და ის შარშან აღდგა.

განვლილ პერიოდში 20-წლამდელთა ჩემპიონატიდან ეროვნულ გუნდში 1550-ზე მეტი მოთამაშე დაწინაურდა და მათგან 32 მსოფლიო თასის მფლობელი გახდა.

◎ კონტრაქტი

სეზონის ბოლოსო...

„ნაპოლის“ პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, სადაც ძალიან ბევრ თემაზე საათზე მეტი ხნის განმავლობაში ისაუბრა.

მათ შორის ილაპარაკა **ხვიჩა კვარაცხელიას** კონტრაქტზე და თქვა, რომ მან შესთავაზა მის წარმომადგენლებს ხელშეკრულების განახლება, მაგრამ მათგან უარი მიიღო და სეზონის ბოლოს ისაუბრებენ.

„ჩავარდნა ჯერ კიდევ სპალეტისთან ერთად დაგვეწყო მარტში. გასული სეზონის დიდი ვარსკვლავი იყო კვარაცხელია, რომელსაც მარტიდან ნოემბრამდე გოლი არ გაუტანია, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ პრობლემები დაგვეწყო. საშინლად ვიგრძენი თავი გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის გამო, ვფიქრობდი, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება ნამდვილად შეგვეძლო, ან მინიმუმ ფინალში თამაში. სკუდეტოს მოგება ძალიან კარგი იყო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით შეგვეძლო მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე გასვლა, რომელიც დამატებით 100 მილიონი ევროს შემოსავალს მოგვიტანდა.

კვარას კონტრაქტი? 3 თვის წინათ მის გარემოცვას დავუკავშირდი. შევხვდით და ვუთხარი, რომ მინდოდა კონტრაქტის განახლება და პირობებიც გავაცანი. აგენტმა მითხრა, რომ ისინი აქ თავს ძალიან კარგად გრძნობენ და ამ თემაზე საუბარი სეზონის ბოლოს სურთ. შესაბამისად, ვილაპარაკებთ სეზონის ბოლოს“, – თქვა დე ლაურენტისმა.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლისთან“ კონტრაქტი 2027 წლამდე აკავშირებს და გუნდში 1.2 მილიონი ევროს ხელფასით ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადი ფეხბურთელია.

◎ ტრავმა

ტერფის ფაქტორი

პსჟ-ის მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ენრიკემ** თავისი გუნდის ფორვარდის **კილიან მბაპეს** ტრავმის ხასიათზე ისაუბრა, რომელიც მან საფრანგეთის თასის მერვედფინალში „ბრესტთან“ მატჩში (3:1) მიიღო. ფრანგმა ტერფი დაიზიანა, თუმცა თამაში საფინალო სასტვენამდე შეძლო.

„რაც შეეხება კილიანის ტრავმას, გარკვეული პროგნოზის გაკეთება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც მას გამოკვლევა ჩაუტარდება. ერთი რამ ცხადია – ტერფში ძლიერი დარტყმა მიიღო. თუმცა, რადგან კილიანი დარჩა მოედანზე და შეძლო მატჩის გაგრძელება, მაშინ სავარაუდოდ ყველაფერი არც ისე ცუდად არის“, – ციტირებს ენრიკეს სიტყვებს Le Parisien.

მიმდინარე სეზონში მბაპემ პსჟ-ის შემადგენლობაში 29 მატჩი ჩაატარა ყველა ტურნირზე, რომელშიც 30 ბურთი გაიტანა და 7 საგოლე გადაცემა შეასრულა.. ფეხბურთელის კონტრაქტი ფრანგულ კლუბთან წლეულს ივნისის ბოლომდეა ძალაში. 14 თებერვალს პსჟ ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩში „რეალ სოსიედადს“ უმასპინძლებს.

◎ ლეგიონერი

ცივი შხაპი

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში „ლენოვო ტენერიფე“ სტუმრად იერუსალიმის „ჰაპოელს“ შეხვდა და უშანსოდ, 61:85 წააგო.



ესპანელებმა მეტოქეს კონკურენცია ვერ გაუწიეს და მარცხიც დამსახურებულად განიცადეს.

გიორგი შერმადინმა 24 წუთში 12 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 7-დან 5 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

„ლენოვო ტენერიფე“ K ჯგუფში 2 მოგებით და 1 წაგებით მეორე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი, 6 მარტს, ლიდერ „ჰაპოელს“ უკვე საკუთარ მოედანზე დაუპირისპირდება.

◎ ფორუმი

ევროპული კონტურები

გერმანიის ქალაქ ფრეზინგში ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების წილისყრა გაიმართა. ღონისძიებაზე მოეწყო ახალი ლოგოსა და სახელწოდების პრეზენტაცია: ამიერიდან ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატებს ახალგაზრდული ევრობასკეტი ეწოდება, რომლებიც, როგორც აქამდე, დივიზიონებად იქნება დაყოფილი.

გერმანიაში გამართულ წილისყრაში 47 ქვეყნის 245 ნაკრები მონაწილეობდა. 16, 18 და 20 წლამდელთა შორის ჩატარდა წილისყრა როგორც გოგონათა A, B და C დივიზიონებში, ასევე მცირე ქვეყნების ჩემპიონატებში. საქართველოს მთლიანობაში 5 ნაკრები მიიღებს წლევანდელ ახალგაზრდულ ევრობასკეტში მონაწილეობას. ესენი არიან: ვაჟთა U16 (A დივიზიონი), U18 (B დივიზიონი), U20 (B დივიზიონი), გოგონათა U18 (C დივიზიონი) და U16 (C დივიზიონი) ნაკრებები.

ცერემონიალს ესწრებოდნენ ფიბა ევროპის პრეზიდენტი ხორხე გარბახოსა და აღმასრულებელი დირექტორი კამილ ნოვაკი. წილისყრას უძღვებოდნენ საბერძნეთის ნაკრების ყოფილი წევრი ანდრეას გლინიადაკისი და ფინელი თინა სტენი. დავიწყოთ 16-წლამდელებით, სადაც საქართველოს ნაკრები ყველაზე მაღალ საფეხურზეა და მონაწილეობას იღებს აღნიშნული ასაკის ევრობასკეტში (A დივიზიონში).

16-წლამდელთა ევრობასკეტი

ტურნირი გაიმართება საბერძნეთის ქალაქ ირაკლიონში მიმდინარე წლის 9-დან 17 აგვისტოს ჩათვლით. საქართველოს ნაკრების მიზანი 16 საუკეთესო გუნდში ადგილის შენარჩუნება იქნება. წილისყრის შედეგად ჩვენი გუნდი, რომელსაც ნიკა ცინცაძე, ლევან ტყეშელაშვილი და ნიკა ბურჯანაძე წვრთნიან, C ჯგუფში მოხვდა პოლონეთთან, სლოვენიასა და საფრანგეთთან.

ჯგუფიდან 2 საუკეთესო გავა, რომლებიც ჩემპიონობისთვის ბრძოლას გააგრძელებენ, პლეი ოფში ვერგასული 8 გუნდი კი A დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ. კლასიფიკაციაში ბოლო 3 გუნდი დატოვებს ელიტარულ დივიზიონს.

18-წლამდელთა ევრობასკეტი (B დივიზიონი)

18-წლამდელთა ევრობასკეტი ფინეთში გაიმართება, ჩვენ კი B დივიზიონი გვაინტერესებს, სადაც საქართველოს ნაკრები იასპარეზებს. ტურნირში მთლიანობაში 22 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობს, რომლებიც 4 ჯგუფშია თავმოყრილი. საქართველოს ნაკრები 5-გუნდიან – D ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად ავსტრია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი და პორტუგალია ეყოლება. ტურნირი 26 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით, ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ჩატარდება.

20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (B დივიზიონი)

20-წლამდელთა B დივიზიონი რუმინეთის ქალაქ პლოეშტშია დაგეგმილი, რომელიც 12-21 ივლისს გაიმართება. 21 გუნდი სტანდარტულად, 4 ჯგუფშია გადანაწილებული. ჩვენი ნაკრების მეტოქეები D ჯგუფში იქნებიან: ბულგარეთი, რუმინეთი, ესტონეთი და ალბანეთი. გათამაშების ფორმატი სტანდარტულია. ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო გადის და ბრძოლას საუკეთესო 3-ეულისთვის აგრძელებენ, რომლებიც მომავალი წლისთვის A დივიზიონის საგზურს მოიპოვებენ.

18 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატი (C დივიზიონი)

18-წლამდელ გოგონათა ნაკრები წლეულს ევრობასკეტის C დივიზიონში იასპარეზებს. ამ ტურნირში მონაწილეები იშვიათად იცვლება. მასში ის ქვეყნები ასპარეზობენ, რომლებშიც ქალთა კალათბურთი დიდად პოპულარული არაა. 7 ქვეყანა 2 ჯგუფში განაწილდა. საქართველო B ჯგუფშია ალბანეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად. 18 წლამდე გოგონათა C დივიზიონს კოსოვო უმასპინძლებს.

16 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატი (C დივიზიონი)

აღნიშნულ ტურნირში 8 ქვეყნის ნაკრებია. ჩვენი გოგონათა გუნდი A ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად სომხეთი, აზერბაიჯანი და კვიპროსი ეყოლება, მეორე ჯგუფში კი მალტა, გიბრალტარი, მოლდოვა და ალბანეთი მოხვდნენ.ტურნირი 9-14 ივლისს, გიბრალტარში ჩატარდება.

სანთელი

ქართველი ხალხის საყვარელი კომპოზიტორი

87 წლის ასაკში ქართველი მუსიკოსი, კომპოზიტორი და პედაგოგი **ვაჟა აზარაშვილი** გარდაიცვალა.

1961 წელს დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

1961 წლიდან, შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასაც. 1971 წლიდან იყო ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, პროფესორი (1988); 1994 წელს გახდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი.

მისი შემოქმედება ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა: სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული, მიუზიკლი და საესტრადო; ძირითადი მიმართულებაა ინსტრუმენტული და საესტრადო მუსიკა.

ავტორია სიმფონიისა (1966, სამ ნაწილად), ორი სავიოლინო კონცერტისა (სამ ნაწილად, 1967 I, 1972 II), კონცერტისა ვიოლონჩელოსათვის (1969, ერთ ნაწილად), კონცერტისა ალტისა და კამერული ორკესტრისათვის (1973), ორი ოპერეტისა, რომლებიც დაიდგა თბილისის „მუსკომედიის“ სცენაზე (1969 I, 1972 II), კონცერტინოსა კვარტეტისათვის (1963), ვოკალურ-სიმფონიური პოემისა (1961), ორი პიესისა სიმებიანი ორკესტრისათვის (1964), სონატისა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (1961, ოთხ ნაწილად), ინსტრუმენტული, კამერული და საესტრადო ნაწარმოებებისა, მუსიკას წერდა სპექტაკლებისა და სატელევიზიო ფილმებისთვის.

ვაჟა აზარაშვილმა ბევრი სიმღერა მიუძღვნა მშობლიურ თბილისს: „თბილისური ლირიკული“, „სიმღერა თბილისზე“, „სიმღერა მეტეხზე“, პოპულარულია მისი სიმღერები: „მუსიკა“, „დღეები მიდიან“, „პატარა გოგო“, „მზე ჩემი მეგობარია“, „ისევ წვიმს“, „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“, „დინამო, დინამო“ და სხვ. მიღებული აქვს საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემია (1982), რუსთაველის პრემია, სახალხო არტისტის წოდება და ა. შ.

„ის აქ არის“...

არ გვინდა ეპითეტები.
მით უფრო, რომ ყველა გაცვდა „ვით მველი გროში“.
„გენიალურსაც“ კი ფასი დაუკარგეს.

* * *

ის იყო კომპოზიტორი.
სიმღერებს ნანისთვის წერდა.
როგორც ლაღიმე, კვერნაძე, ცაბაძე, ეანჩელი...
მის ერთ სიმღერას კი მთელი საქართველო მღეროდა.
რადგან სიმღერა ფეხბურთზე იყო.
ფეხბურთი კი ეროვნულ ღირსებასა და თავმოყვარეობას განასახიერებდა.

* * *

„გამარჯვება, გამარჯვება, ბიჭებო!“..
მღეროდა საქართველო. „რა ვქნა, მხოლოდ ერთგულება ვიცოდი“... მღეროდა ნანი...

* * *

„გზები, გზები სიმებივით დამწყდარი“...
ნანი ამასაც მღეროდა. მაგრამ გამწყდარად ვერ ჩაითვლება გზა, რომელიც მარადისობას უერთდება. ამ გზას შეუდგა ვაჟა აზარაშვილი.

* * *

და მაინც: „ის აქ არის“... მღერის ნანი.

იოსებ ჟუმბურიძე

ვაჟა აზარაშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამენ

მწუხარებას გამოვთქვამ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის, ღირსების ორდენის კავალერის და თბილისის საპატიო მოქალაქის **ვაჟა აზარაშვილის** გარდაცვალების გამო.

„ვაჟა აზარაშვილი, თავისი უკვდავი კომპოზიციების წყალობით ქართველი საზოგადოების არაერთმა თაობამ შეიყვარა და მას საპატიო ადგილი აქვს დამკვიდრებული ქართულ კულტურაში.

სამძიმარს ვუცხადებ დიდი კომპოზიტორის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებს და სრულიად კულტურის სფეროს ამ დანაკარგის გამო“.

ბიძინა ივანიშვილი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ქართველი კომპოზიტორის, მუსიკოსისა და პედაგოგის, ვაჟა აზარაშვილის გარდაცვალების გამო. **ვაჟა აზარაშვილი** იყო არაერთი ცნობილი მუსიკალური კომპოზიციის ავტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის საპატიო მოქალაქე. ბატონმა ვაჟამ თავისი ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედებით წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ კულტურაში. სამძიმარს ვუცხადებ ვაჟა აზარაშვილის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და ქართველ საზოგადოებას.

ირაკლი კობახიძე

ვაჟა აზარაშვილის მრავალმხრივმა შემოქმედებამ, მაღალი პროფესიონალიზმითა და განუმეორებელი ხელწერით გამორჩეულმა სიმფონიურმა, საესტრადო თუ კამერულმა მუსიკამ მსმენელთა არაერთი თაობის სიყვარული დაიმსახურა და განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართულ მუსიკალურ საგანძურში. ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ გამოჩენილი კომპოზიტორის **ვაჟა აზარაშვილის** გარდაცვალების გამო.

ბატონი ვაჟას მრავალმხრივმა შემოქმედებამ, მაღალი პროფესიონალიზმითა და განუმეორებელი ხელწერით გამორჩეულმა სიმფონიურმა, საესტრადო თუ კამერულმა მუსიკამ მსმენელთა არაერთი თაობის სიყვარული დაიმსახურა და განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართულ მუსიკალურ საგანძურში.

გულწრფელად ვუსამძიმრებ ბატონი ვაჟას ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მთლიანად ქართველ საზოგადოებას.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს და თბილისს, ქართულ სამუსიკო ხელოვნებას ცნობილი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, საპატიო თბილისელი **ვაჟა აზარაშვილი** გამოაკლდა.

კაცი, რომლის შემოქმედებაში უდიდესი ადგილი უკავია თბილისის თემას, რასაც საყოველთაოდ აღიარებული, ყველასთვის საყვარელი სიმღერები მიუძღვნა. მისმა შემოქმედებამ დიდი ხანია, უკვდავყო ვაჟა აზარაშვილის სახელი. კვლავაც არაერთხელ გაჟღერდება საოცარი ჰანგები თბილისზე, „დინამოზე“ და ყველას ემახსოვრება ამ ჰანგების ავტორი — ვაჟა აზარაშვილი. ვიზიარებ ვაჟა აზარაშვილის ოჯახის წევრების, მისი მეგობრების, მთელი საქართველოს მწუხარებას.

კახა კალაძე

სოსო ჯაჭვლიანი მშვიდობით, გედია!



65 წლის ასაკში მსახიობი, რეჟისორი და სპორტსმენი **სოსო ჯაჭვლიანი** გარდაიცვალა.

სოსო ჯაჭვლიანი ბოლო წლების განმავლობაში მძიმე დაავადებას ებრძოდა და კლინიკაში მკურნალობდა. სოსო ჯაჭვლიანმა 1978 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, ხოლო 1991 წელს — შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი. არის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის რეჟისორი, საერთაშორისო კინოფესტივალების ჯილდოების მფლობელი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდში.

სოსო ჯაჭვლიანი გადაღებულია ფილმებში: „ნატვრის ხე“, „ფესვები“, „ამაღლება“, „ძმა“, „სიბრძნის კარავი“, „სამი ალიყური“, „თეთრი ბაირაღები“, „უძინართა მზე“, „სვანი“, „მაიტა ნასოსი“ და სხვა.

არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა „ჩემი პირველი სიყვარული“, „მანიაკები? ფანატიკები?“, „სვანი“, „მაიტა ნასოსი“.

2012-2016 წლებში იყო საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი (თბილისის გლდანის მაჟორიტარი), საარჩევნო ბლოკი — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“.

გამორჩეულად საამაყო შვილი

კიდევ ერთი გამორჩეულად საამაყო შვილი დაკარგა საქართველომ. გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი პიროვნება, მუსიკოსი, კომპოზიტორი, პედაგოგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე

ვაჟა აზარაშვილი

ბატონ ვაჟას კულტურის სფეროში დამსახურებისთვის მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და პრემია. მათ შორის წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია. იგი ამავდროულად იყო საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრი. საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ვაჟას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, სამეგობროს და სრულიად საქართველოს.

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე

თანაკლასელი მეგობრები თამაზ გადილია, ნუგზარ კიკნაძე, იაკობ ლეჟავა, გუგა ფანცხავა, ალეკო ციბაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვაჟა აზარაშვილის

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ მის ოჯახს.



ქალაქ ტორონტოში (კანადა) გარდაიცვალა სეფიაშვილების დიდი გვარის მამამთავარი

შოთა სეფიაშვილი

ჩემი, ჯაიანების და საქართველოში მცხოვრები უამრავი მეგობრის სახელით ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახს.

იური, რუსიკო, გუგა, კოკი ოსიპოვი-ჭავჭანიძეები

გილოცავთ!

ზაურ ამილახვარი

კუს ტბის საზოგადოების დამსახურებული, ღვაწლმოსილი კოლექტივის ყველა წევრი ვულოცავთ ჩვენს მეგობარს — **ზაურ ამილახვარს** დაბადების 77-ე წლისთავს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სპორტულ საქმიანობას, ბედნიერებას, წინსვლას და წარმატებებს ყველა ახლობელთან ერთად.

ზაურ ამილახვარი არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მრავალი წელი მუშაობდა სამართალდამცავ სისტემაში და სხვადასხვა უნივერსიტეტებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ჩამოაყალიბა ღია უნივერსიტეტი, პროფესიული სასწავლებელი და საშუალო სკოლა.

დღეს ის აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ-სამეცნიერო საქმიანობაში. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. გფარავდეთ ღმერთი!

გაიყიდა „ბითლზის“ ერთობლივი აბსტრაქციონისტული ნახატი

ნახატი, რომელიც ლეგენდარული ბრიტანული ჯგუფის The Beatles-ის წევრებმა იაპონიაში შექმნეს, აუქციონზე Christie's $1,74 მილიონად გაიყიდა.

აბსტრაქციონიზმის სტილში შესრულებული ნახატი მუსიკოსებმა 1966 წელს, ტოკიოში გამართულ კონცერტებს შორის შექმნეს. ტილოზე ჯგუფის ოთხივე წევრის ავტოგრაფია. თავდაპირველად, ნახატს სახელი არ ჰქონდა, მოგვიანებით კი ის ცნობილი გახდა როგორც „ქალის გამოსახულებები“. ექსპერტებს სჯერათ, რომ ეს პოლ მაკარტნის, ჯონ ლენონის, რინგო სტარისა და ჯორჯ ჰარისონის ერთადერთი ერთობლივი ნამუშევარია.



სწავლა სიკვდილამდეო



პ�აცი, რომელმაც უნივერსიტეტი 95 წლის ასაკში დაამთავრა, სწავლის გაგრძელებას გეგმავს. პენსიაზე გასულმა ფსიქიატრმა დევიდ მარჯოტმა, ამჯერად კინგსტონის უნივერსიტეტში მაგისტრატურა თანამედროვე ევროპული ფილოსოფიის მიმართულებით გაიარა.

დევიდ მარტოჯმა, ბოლოს სწავლა 72 წლის ასაკში დაასრულა, როდესაც ექიმის კვალიფიკაცია მიიღო. იგი ახლა განიხილავს ნახევარ განაკვეთზე დოქტორანტურასაც, რომლის დასრულების შემდეგ ფსიქიატრი 102 წლის იქნება.

იზრდება ქართული ღვინის პოტენციალი

ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამის სახელმწიფო ბიუჯეტი 2024 წელს 16 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც 2 მილიონი ლარით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს.

ქართული ღვინის პრიორიტეტულ ბაზრებად რჩება აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და იაპონია, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიები განახორციელებენ. ამასთან ერთად, ქართული ღვინო წარმოდგენილი იქნება ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენასა და ფესტივალზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

ღვინის გამოფენები, კონკურსები, ტურები და ფესტივალები გაიმართება საქართველოს მასშტაბითაც, რაც მნიშვნელოვანია ღვინის ტურიზმის პოტენციალისა და ადგილობრივ მოსახლეობაში ღვინის მოხმარების კულტურის გაზრდისთვის. ამასთან ერთად, 16 მილიონი ლარიდან, 2 მილიონი ლარი გათვალისწინებულია „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამისთვის“. ქართული ღვინო 2023 წელს მსოფლიოს 15 ქვეყანაში, ჯამში, 14 გამოფენაზე, 20 ფესტივალსა და 100 პროფესიულ დეგუსტაციაზე იყო წარდგენილი.

„მეოთხე ბრაიტონი“ იტალიას იპყრობს

8 თებერვლიდან ლევან კოღუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ იტალიის კინოგაქირავებაში გამოდის. ფილმი 30 ეკრანზე გამოვა იტალიის სხვადასხვა ქალაქში. რომში, ტურინში, მილანსა და ბოლონიაში ფილმს რეჟისორი პირადად წარუდგენს მაყურებელს.

მანამდე ფილმი უკვე გამოსული იყო საფრანგეთის (50 ეკრანი), შვედეთის, ისრაელის, აშშ-ისა და ბულგარეთის კინოგაქირავებაში.

ფილმის იტალიელი დისტრიბუტორია Invisible Carpets-ი. ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ ოთხი ქვეყნის თანამშრომლობით არის შექმნილი, თანაპროდიუსერია საქართველოს პირველი არხი, აღმასრულებელი პროდიუსერები არიან: არმენ ზულოიანი, თინათინ ბერძენიშვილი და რუსუდან მანჯგალაძე. „მეოთხე ბრაიტონის“ ძირითადი ნაწილი გადაღებულია ნიუ იორკში, ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. ფილმი საქართველოდან „ოსკარზე“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში იყო წარდგენილი. ნამუშევარს უკვე მრავალი პრიზი აქვს აღებული.

ფილიპინეებში მეწყერმა ორი ავტობუსი მოიყოლა

მეწყრის შედეგად 11 ადამიანი დაშავდა, ორმა მათგანმა სერიოზული დაზიანებები მიიღო და დავაოს საავადმყოფოში გადაიყვანეს. ავტობუსებში სულ მცირე 28 ადამიანი იმყოფებოდა, 8 მათგანმა გაქცევა მოახერხა.

მეწყერი დავაო დე ოროს პროვინციაში, კუნძულ მინდანაოზე, ოქროს მაღაროსთან ახლოს ჩამოწვა. კატასტროფების ეროვნულმა სააგენტომ განაცხადა, რომ მეწყრისა და წყალდიდობის შედეგად გასულ კვირას სულ მცირე 18 ადამიანი დაიღუპა.

ძლიერი შტორმი აშშ-ში

შეერთებულ შტატებში, ძლიერი შტორმის შედეგად, ცხრა ადამიანი დაიღუპა. სტიქიამ კალიფორნიის შტატის სამხრეთ ნაწილში წყალდიდობა და მეწყერი გამოიწვია. შტორმს ლოს ანჯელესში სამასზე მეტი ღვარცოფი მოჰყვა.

სტიქიის შედეგად დაინგრა საცხოვრებელი სახლები, საავტომობილო გზები და დაიტბორა დასახლებული უბნები. კალიფორნიის შტატში უახლოეს დღეებში კვლავ უამინდობას ვარაუდობენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბის პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 12 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6573; ევრო - 2.8632;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3535;
100 რუბლი - 2.9174; თურქული ლირა - 0.0869;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5647;
1000 სომხური დრამი - 6.5863

ამინდი 9 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-1,	დღე +17
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე +11
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+2,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე +8
თბილისი:	ღამე	+4,	დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge